ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

16 თებერვლიდან

„ახალ თაობასთან“ ერთად

ლუის სუარესი

ზღვარს მიღმა. ჩემი ამბავი

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი




სამშაბათი, 16 თებერვალი, 2016 №38 (6964) ფასი: 50 თეთრი

# ნარმანია თბილისის მერის პოსტს ტოვებს


გვ.2

## „ნაციონალების საარჩევნო სიაში არ ვიქნები, დანარჩენი ვნახოთ“



## „ხელისუფლება კომპრომისზე თუ არ წამოვა, ყველაფერს დაკარგავს“

კახა კუკავა: „ოცნება“ თუ ისევ უმრავლესობით მოვა, რევოლუცია მოხდება“


გვ.3

გაიტანა თუ გაატანინეს?

## სოსო ჯაჭვლიანმა „რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფის“ შესახებ კანონპროექტი პარლამენტიდან გაიტანა


გვ.2

## მორიგი სკანდალი „ქართულ ოცნებაში“


გვ.5

მურმან დუმბაძე: „არმაზ ახვლედიანს არჩილ ხაბაძის ადგილი უნდოდა“




გვ.7

## გია ჟორჟოლიანი: „მაჟორიტარულ სისტემას არ შევცვლით“

„ოპოზიციამ ილაპარაკოს, რამდენიც უნდა“


გვ.6

## „ვისოლგაზი“ კახეთში გაზის ტარიფს აძვირებს

ISSN 1987-9385

## კონსტანტინე გამსახურდია: „არჩევნებში შეიძლება დამოუკიდებელი კანდიდატი ვიყო“


გვ.4


გვ.7

## ვინ იბრალებს პოლიტიკურ დევნილობას?

მირიან მირიანაშვილი: „ნაცმოძრაობამ მოიფიქრა საქართველოს ხელისუფლების დისკრედიტაციის ახალი მეთოდი“

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# ნარმანია თბილისის მერის პოსტს ტოვებს

## „ნაციონალების საარჩევნო სიაში არ ვიქნები, დანარჩენი ვნახოთ“

შორენა მარსაგიშვილი



ახლო მომავალში შესაძლოა თბილისი მერის გარეშე დარჩეს. გუშინ, 15 თებერვალს, დავით ნარმანიამ დაადასტურა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ თანამდებობის დატოვება მოუწევს.

„ახალი თაობა“ უკვე წერდა, რომ დავით ნარმანიას თანამდებობის დატოვება არაერთხელ მოსთხოვეს. ეს საუბრები ჯოკია ბოდოკიას დაკავების შემდეგ დაიწყო. თბილისის მერმა ზემდგომებს შეუთვალა, მე ხალხის მიერ ვარ არჩეული და არსადაც არ წავალო.

იყო საუბრები იმის შესახებაც, რომ საკრებულოში მისი იმპიჩმენტის საკითხიც განიხილებოდა. ამ თემაზე საუბრობდნენ როგორ ოპოზიციონერი დეპუტატები, ასევე უმრავლესობის წევრებიც.

საკრებულოს უმრავლესობა კულუარულ საუბრებში ადასტურებდა, რომ ისინი უკმაყოფილო იყვნენ მერიის მუშაობით. რამდენიმე მათგანმა ნარმანია ღიადაც გააკრიტიკა.

მერის მუშაობით უკმაყოფილება მინისტრებმაც გამოხატეს და ეს ალბათ საყოველთაო სახეს მიიღებდა, ივანიშვილისგან რომ არ მისვლოდათ მესიჯი.

როგორც საკრებულოში გვითხრეს, „ქართული ოცნების“ წევრებს სთხოვეს, ღიად არ გაეკრიტიკებინათ ნარმანია, რადგან ეს გუნდზე და განსაკუთრებით, ივანიშვილის სახელზე იმოქმედებდა ცუდად.

– მარგველაშვილის და „ქართული ოცნების“ მტრული დამოკიდებულება ცნობილია. ივანიშვილს მისი შერჩევის გამო ხშირად საყვედურობენ და ახლა აღარ უნდა, რომ იგივე საყვედურები ნარმანიაზეც მოისმინოს. გამოვა, რომ მას არც ერთმა კანდიდატმა არ გაუმართლა, – განუცხადა „ახალ თაობას“ უმრავლესობის ერთ-ერთმა წევრმა, რომელმაც გვთხოვა, რომ მისი ვინაობა არ გაგვემხილა.

გასულ წელს მერიაში რამდენიმე მნიშვნელოვანი საკადრო ცვლილება განხორციელდა. საქალაქო სამსახურების უფროსებმა თანამდებობები „საკუთარი“ განცხადების საფუძველზე დატოვეს.

ამ გადადგომების შესახებ ნარმანიამ არაფერი იცოდა და, როგორც საკრებულოში განმარტეს, უნდოდათ ამით ნარმანიასთვის გადადგომა ეიძულებინათ.

თბილისის მერი ამ მიმართულებით კერკეტი კაკალი გამოდგა და თანამდებობა არ დატოვა. მეტიც, მან „ქართული ოცნების“ ლიდერებს ულტიმატუმიც კი წაუყენა.

„ახალი თაობა“ უკვე წერდა იმის შესახებ, რომ ნარმანიამ თანამდებობის საკუთარი სურვილით დატოვების პირობები დაასახელა. თბილისის მერმა საარჩევნო სიის ათეულში ჩასმა მოითხოვა.

ეტყობა, მან ამაზე თანხმობა მიიღო.

ჟურნალისტების კითხვაზე, იქნება თუ არა „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიაში, დედაქალაქის მერმა გუშინ, 15 თებერვალს, ასე უპასუხა:

– ნაციონალური მოძრაობის“ სიაში რომ არ ვიქნები, ალბათ, კარგად მოგეხსენებათ. სხვა დანარჩენი, ვნახოთ.

* * *

აღსანიშნავია ისიც, რომ მეოცნებეებს მისი შემცვლელის ძებნაც უკვე დაწყებული აქვთ. ამ თანამდებობაზე დავით საგანელიძეს ან კახა კალაძეს მოიაზრებენ. იმასაც ამბობენ, რომ მერის ვადამდელი არჩევნები საპარლამენტო არჩევნებთან ერთად ჩატარდება.

# სოსო ჯაჭვლიანმა „რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფის“ შესახებ კანონპროექტი პარლამენტიდან გაიტანა

## გაიტანა თუ გაატანინეს?

შორენა მარსაგიშვილი

დეპუტატ სოსო ჯაჭვლიანის საკანონმდებლო ინიციატივის გარშემო აურზაური გრძელდება. „რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფის“ შესახებ კანონპროექტი, რომელიც უკვე მოიწონა პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტმა, ჯაჭვლიანმა უკან გაიწვია.

პარლამენტი ამ კანონის მიღებას რომ არ აპირებდა, ეს თავიდანვე ნათელი იყო. ბიძინა ივანიშვილის მეგობარმა და იმავე დროს დეპუტატმა თემურ ჭკუასელმა განაცხადა, რომ ეს ცვლილებები მისთვის მიუღებელი იყო. მაშინ პარლამენტში ითქვა, რომ ჭკუასელმა ივანიშვილის პოზიცია გაახმოვანა და ამით დეპუტატებისთვის ყველაფერი ნათელი გახდა.

ცოტა ხანში საგანგებო განცხადება საქართველოს საპატრიარქომაც გაავრცელა. საპატრიარქოს განმარტებით, მათ არავისთვის უთხოვიათ „რელიგიური გრძნობების შესახებ“ კანონპროექტის მომზადება. მათივე განმარტებით. არც ამ კანონის მიღების აუცილებლობა არსებობს.

გუშინ, 15 თებერვალს, ცნობილი გახდა, რომ ჯაჭვლიანმა თავისი ინიცირებული და კომიტეტის მიერ მხარდაჭერილი კანონპროექტი უკან გაიწვია.

საქართველოს პარლამენტში იმდენი უცნაურობა ხდება, რომ კანონპროექტის უკან გაწვევა არავის გააკვირვებდა. ალბათ არც ასეთი გაუგებრობა შეიქმნებოდა, ამის შესახებ თავად ჯაჭვლიანს რომ გაეკეთებინა განცხადება.

ჯაჭვლიანის კანონპროექტი პლენარულ სხდომაზე ამ დღეებში, 19 თებერვლამდე უნდა განხილულიყო,.

15 თებერვალს პარლამენტის თავმჯდომარემ საქართველოს აუწყა, რომ ჯაჭვლიანმა კანონპროექტი უკან გაითხოვა.

– ეს არის კანონპროექტი, რომელშიც საუბარი იყო რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფისთვის ადმინისტრაციული სახდელების თაობაზე. ეს პროექტი ჯერ კიდევ საკომიტეტო განხილვების სტადიაშია, ამიტომ ავტორს და ინიციატორს აქვს ამის უფლება. ასე რომ, ჩვენ მივიღეთ ცნობად, რომ ბატონმა იოსებ ჯაჭვლიანმა გაითხოვა აღნიშნული პროექტი. შესაბამისად, პარლამენტი წყვეტს ამ საკითხზე მსჯელობას, – განაცხადა დავით უსუფაშვილმა.



ჯაჭვლიანის გადაწყვეტილება მოულოდნელი აღმოჩნდა „საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოება 21-ე“-ს თავმჯდომარე ზვიად ტომარაძისთვისაც, რომელიც აღნიშნული კანონპროექტის ავტორია.

ტომარაძისთვის უცნობია, რატომ მიიღო დეპუტატმა ეს გადაწყვეტილება. ჯაჭვლიანს მისთვის ამის შესახებ არაფერი უცნობებია.

ჩვენთან საუბარში ზვიად ტომარაძეს მხოლოდ იმის თქმა შეუძლია, რომ საპატრიარქოს ცნობილი განცხადების და ატეხილი ხმაურის შემდეგ დეპუტატი თავს მხნედ ველარ გრძნობდა.

ტომარაძის აზრით, გამორიცხულია, რომ ჯაჭვლიანის გადაწყვეტილებაზე კანონპროექტის პარლამენტიდან უკან გატანის კუთხით გავლენა ექსპრემიერ ბიძინა ივანიშვილს მოეხდინა.

– მე ჯაჭვლიანთან არ მისაუბრია, მაგრამ ვეჭვობ, ბატონი სოსო მარტო აღმოჩნდა ამ საკითხში. მარტოს პიროვნულად არ ვგულისხმობ, რადგან ძალიან ბევრი ადამიანი უჭერდა მხარს, იგივე დიმიტრი ლორთქიფანიძე, მე, როგორც კანონპროექტის ავტორი, ნიკოლოზ მჟავანაძე, იგივე პარლამენტშიც. ალბათ, ის უფრო მეტ მხარდაჭერას ელოდებოდა იგივე საპატრიარქოს მხრიდან, – აცხადებს ტომარაძე.

* * *

„ახალი თაობისთვის“ კი ცნობილი გახდა, რომ ამ საკითხზე ჯაჭვლიანთან ზევიდან არაერთი ზარი განხორციელდა და ისინი მას კანონპროექტის გატანას სთხოვდნენ.

საპარლამენტო კულუარებში ისიც გვითხრეს, შემთხვევით არ მოხდა, რომ კანონპროექტის ინიციატორს ამ დღეებში მკლავჭიდელები აუბუნტეს.

გარდა იმისა, რომ ჯაჭვლიანი დეპუტატია და კანონებს წერს, ის მკლავჭიდის ფედერაციის პრეზიდენტიცაა.

# გვენეტაძემ პარლამენტს მურუსიძისთვის უფლებამოსილების შეწყვეტის თხოვნით მიმართა



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ნინო გვენეტაძე პარლამენტს ლევან მურუსიძისთვის უზენაესი სასამართლოს მოსამართლის უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე მიმართავს.

მისი თქმით, როდესაც ხდება მოსამართლის სხვა სასამართლოში დანიშვნა, ძველ სასამართლოში იმავე წესით უნდა შეუწყდეს უფლებამოსილება ანუ ვინაიდან ის გახდა სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე, ახლა პარლამენტმა უნდა შეუწყვიტოს მას უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობა, რადგან მურუსიძე უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ დანიშნა პარლამენტმა.

გვენეტაძის განცხადებით, ეს არის ჩვეულებრივი პროცედურა და საკითხი კენჭისყრით გადაწყდება.

– ეს არის წმინდა პროცედურული საკითხი, როდესაც მოსამართლე ერთი სასამართლოდან მისი უფლებამოსილების ვადის დამთავრებამდე ინიშნება მეორე სასამართლოში კონკურსის წესით, მას იმ წესით უნდა შეუწყდეს უფლებამოსილება ძველ სასამართლოში, რა წესითაც ის იყო განწესებული. ბატონი მურუსიძე უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ განამწესა პარლამენტმა, ამიტომ პროცედურების აბსოლუტური დაცვით საბჭომ და მისმა თავმჯდომარემ მიმართა პარლამენტს მურუსიძის უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე უზენაეს სასამართლოში, რადგან ის დაინიშნა სააპელაციო სასამართლოს მოსამართლედ, – განაცხადა გვენეტაძემ.

**ნიუსპრესი**

# საქართველოსა და ირანს შორის უვიზო მიმოსვლა ამოქმედდა



საქართველოს მთავრობასა და ირანის ისლამური რესპუბლიკის მთავრობას შორის 15 თებერვალს ორდინალური პასპორტების მფლობელთათვის ვიზების ორმხრივად გაუქმების შესახებ შეთანხმება ამოქმედდა.

15 თებერვლიდან ირანიდან ვიზიტორები საქართველოში შემოსვლას გამარტივებული რეჟიმით შეძლებენ.

საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ირანის ისლამური რესპუბლიკის მოქალაქეებს, რომლებიც მოქმედ ორდინალურ პასპორტებს ფლობენ, უფლება ექნებათ ისარგებლონ, საქართველოს ტერიტორიაზე პირველი შესვლის დღიდან, ვიზის გარეშე ორმოცდახუთ (45) დღემდე ყოფნის უფლებით. აღნიშნული შეთანხმება ქართული მხარის მიერ 2013 წლის 1-ელ ივლისს დროებით შეჩერდა.

**ნიუსპრესი**



# ტყიბულში მაღაროელები გაიფიცნენ

ტყიბულში, მინდელისა და ძიძიგურის სახელობის მაღაროებში დასაქმებული მაღაროელები გაიფიცნენ.

ძიძიგურის სახელობის მაღაროს შესასვლელთან 1.000-მდე მაღაროელმა საპროტესტო აქცია გამართა.

როგორც მაღაროელები აცხადებენ, ისინი ხელფასის გაზრდას მოითხოვენ.

**ნიუსპრესი**

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოჩაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# კახა კუკავა: „ოცნება“ თუ ისევ უმრავლესობით მოვა, რევოლუცია მოხდება“

## „ხელისუფლება კომპრომისზე თუ არ წამოვა, ყველაფერს დაკარგავს“

ნონა ცაბაძე





საარჩევნო კოდექსის ცვლილებასთან დაკავშირებით ოპოზიციური პარტიები აქტიურად მუშაობენ, თუმცა ხელისუფლება ცვლილებებს არ გეგმავს. „ახალი თაობა“ საარჩევნო საკითხებზე თავისუფალი საქართველოს ლიდერს, **კახა კუკავას** ესაუბრება.

***— ბატონო კახა, ოპოზიციური პარტიები საკმაოდ ბევრს მუშაობთ საარჩევნო კანონმდებლობაზე. დაგეგმილი იყო შეხვედრები საპარლამენტო უმრავლესობასთან, რა შედეგით დასრულდა ეს ყველაფერი? მოდის ხელისუფლება ცვლილებებზე?***

— ჯერჯერობით ჩვენ საკანონმდებლო ორგანოში მივიღეთ მკაფიო უარი. ერთგვარი აგრესიული და ურცხვი დამოკიდებულება, როდესაც ადამიანები ამბობენ, ჩვენ არ ვეთანხმებით იმას, რასაც ხმას ვაძლევთ, მაგრამ რას ვიზამთ, ასეთია ცხოვრება. თუმცა პოზიტიური მხარეც უნდა აღინიშნოს.

***— და რა არის პოზიტიური?***

— ის, რომ პრემიერ-მინისტრი კონსტრუქციულადაა განწყობილი. ის შეხვდა ოპოზიციას უკვე. ამ კვირაში იგეგმება მეორე შეხვედრაც. იყო თანხმობა, რომ შეიქმნას ინტერპარტიული ჯგუფი, კომისია, რომელიც იმუშავებს ამ საკითხებთან დაკავშირებით. გიორგი კვირიკაშვილს არ მოუცია პირობა საარჩევნო კანონის ცვლილებასთან დაკავშირებით, მაგრამ არის კომპრომისის ძიების სურვილი. მისი სურვილი არის, რომ ნებისმიერ ისეთ სისტემაზე შედგეს შეთანხმება, რომელიც მეტ-ნაკლებად მისაღები იქნება ორივე მხარისთვის. თავისთავად ეს მიდგომა არის სწორი.

***— რაში შეიძლება გამოიხატოს ეს კომპრომისი?***

— ეს ცალკე და საკმაოდ ხანგრძლივი სამუშაოა.

***— რამდენად მოესწრება არჩევნებამდე?***

— არანაირი პრობლემა არ არის. ეს მოსწრება-არმოსწრების თემა არის თაღლითების გამოგონილი. საარჩევნო კოდექსი არის საკითხი, რომელსაც სჭირდება ქაღალდზე დაწერა, ამობეჭდვა, ხელის მოწერა და მორჩა! ეს ხომ არ არის ისეთი საკითხი, რომ სჭირდებოდეს არხების გაყვანა და კედლების აშენება.

***— სწორედ უმრავლესობისგან გვესმის, ვერ მოესწრება არჩევნებამდეო.***

— ვერ მოესწრება კი არა, უმრავლესობისგან გვესმის, რომ არ უნდათ! თორემ ჩვენ კარგად გვახსოვს, როდესაც არჩევნებამდე ორი და სამი თვით ადრე შესულა საარჩევნო კოდექსში ცვლილებები. ეს არანაირი პრობლემა არ არის და არანაირ სირთულეს არ უქმნის არავის.

***— მაშინ რა არის საჭირო, კეთილი ნება?***

— რა თქმა უნდა! ჩვენ ეს უმრავლესობის წევრებსაც ვუთხარით, რომ მათთვისაც უკეთესია, რომ მიიღონ ეს ცვლილებები. რადგან არის პოლიტიკაში ასეთი ცნება, როგორიც არის უფსკრული ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის, რომელიც ნიშნავს: თუ ხელისუფლების რეიტინგი 40%-ზე ქვევით ეცემა, ითვლება, რომ ეს ქვეყნის სტაბილურობისთვის საშიშია და მთავრობა აცხადებს გადადგომას და ვადამდელ არჩევნებს.

***— ჩვენს ქვეყანაში არსებობს ამის პრაქტიკა?***

— ასეა დასავლურ ქვეყნებში. ხოლო საქართველოში, სადაც ხელისუფლებას აქვს 100%-ით ძალაუფლება და რეიტინგი დაეცა 15%-ზე, ეს იმას ნიშნავს, რომ თუ ამ არჩევნების შემდეგაც გამოაცხადებენ, რომ მათ აქვთ აბსოლუტური უმრავლესობა პარლამენტში, მივიღებთ ქუჩის აქციებს და მაიდანს!

***— ეს გარდაუვალია?***

— თუ გავითვალისწინებთ 2003 წლის და 2012 წლის გამოცდილებას, ეს ძალიან რეალურია. 2003 წელს შევარდნაძეს ოპოზიცია ედავებოდა 4%-ზე. მაშინ ნაციონალურ მოძრაობას დაუწერეს 19% და ითხოვდა 23%-ს. შევარდნაძემ არ დათმო ეს 4% და მერე მოუწია მთლიანად დაეთმო ძალაუფლება. იგივე არის ახლაც. ჩვენ „ქართული ოცნებისგან“ ვითხოვთ...

***— რას ითხოვთ?***

— რამდენიც აქვს რეიტინგი, პროპორციულად იმდენი დეპუტატი შეიყვანოს პარლამენტში. „ქართული ოცნება“ კი ამბობს: არა, რამდენმაც არ უნდა მოგვცეს ხმა, ჩვენ გვინდა გავიყვანოთ 51%! როცა პარლამენტში გაქვს 51% და 85% ქვეყნის მოსახლეობის დედას გაგინებს, ეს არის რევოლუცია!

***— თუ არ დათმობენ, ყველაფერს დაკარგავენ?***

— ისინი დაკარგავენ ყველაფერს და მერე სააკაშვილის მსგავსად მოუწევთ, თავიანთი ოდესა თუ აქვთ სადმე, იქ გადასახლება. ამიტომაც ვეუბნებით მათ, რომ ჩვენ არ გვინდა მოვლენების განვითარების ასეთი სცენარი, ჩვენ გვინდა ლიტვური, ლატვიური, ესტონური სცენარი, სადაც რამდენიმე პარტია მიიღებს გარკვეულ პროცენტებს და შემდეგ შექმნიან სამთავრობო კოალიციას. ეს არის ცივილური მიდგომა. თუმცა „ქართულ ოცნებას“ ხელმძღვანელობს ადამიანი, რომელიც ცივილიზაციისგან ძალიან შორს არის, რომელიც ხეებს თხრის ნაკრძალში და გადააქვს საკუთარ ეზოში და რომელსაც უნდა, პოლიტიკური ხელისუფლება სრულად გააკონტროლოს.

***— ანუ დღეს ხელისუფლებას აქვს მაჟორიტარების იმედი?***

— საქართველოში მაჟორიტარული სისტემა ნიშნავს ფეოდალურ, კლანურ, კრიმინალურ მიდგომას, როდესაც ფულიანი ადამიანი მიდის და ყიდულობს მაჟორიტარულ ოლქს. არ მითხრას ვინმემ, დმანისის მაჟორიტარი რომ არის 20 წელია კახა ოქრიაშვილი, დმანისის მოსახლეობა თავისი პროგრამებით მოხიბლა. თანაც ისეთი პროგრამა აქვს, რომ შევარდნაძის მთავრობასაც ერგება, სააკაშვილისასაც და ივანიშვილისასაც. ეს ძალიან მარტივადაა — კახა ოქრიაშვილი ყიდულობს დმანისის ოლქს.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# დავით უსუფაშვილი: „საკონსტიტუციო კომისია მუშაობას თებერვალში დაასრულებს“



საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, საკონსტიტუციო კომისია, რომელიც მუშაობას თებერვალში დაასრულებს, პარლამენტს ერთიან, შეჯერებულ კანონპროექტს ვერ წარუდგენს.

**დავით უსუფაშვილი:**

— მე არ მგონია, რომ კომისიის მუშაობა უნდა გაგრძელდეს. კომისიამ გააკეთა ის, რაც შეეძლო. კომისიის მუშაობას სერიოზული, გადამწყვეტი დაღი დაასვა იმ ფაქტმა, რომ ნებისმიერ ცვლილებას საქართველოს პარლამენტში სჭირდება უმრავლესობა ანუ 114 ხმა.

მმართველმა კოალიციამ და ოპოზიციურმა „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ვერაფერზე მოვახერხეთ შეთანხმება, კონსტუტუციურ საკითხებზე, ერთი-ორი გამონაკლისის გარდა.

ცხადია, კომისიას, რომელშიც თავად ამ პოლიტიკური ძალის წარმომადგენლებიც იყვნენ, ექსპერტებიც და არასამთავრობო ორგანიზაციებიც, ჰქონდა ძალიან დაბალი მოტივაცია, იმიტომ, რომ იყო ძალიან დაბალი მოლოდინი იმისა, რომ რაც არ უნდა შემუშავებულიყო კომისიის დონეზე, ეს გავიდოდა პარლამენტში და იქცეოდა გადაწყვეტილებად. ასევე, ასე დაპირისპირებული პოლიტიკური ძალები თავად კომისიის შიგნითაც, ცხადია, ნაკლებად იყვნენ გადაწყვეტილების მიღება უნარიანი.

მისი შეფასებით, დიდი მუშაობა გასწიეს ექსპერტებმა და მათ მადლობა გადაუხადა. პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, კომისია პარლამენტს სერიოზულ ნამუშევარს წარუდგენს, რომელიც სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხს მოიცავს.

დავით უსუფაშვილის თქმით, მას შემდეგ, რაც საკონსტიტუციო სასამართლო მუშაობას დაასრულებს, მისი ნამუშევარი და ოქმები გასაჯაროვდება.

— რაც დასრულდება მუშაობა, არა მარტო ტექსტი ნამუშევრის, არამედ ოქმები, დასწრების ფურცლები, ფინანსური ამბები, ყველაფერი გამოქვეყნდება. მინდა გითხრათ, რომ არც ერთი დამატებითი ლარი არ დახარჯულა კომისიის საქმიანობაზე. კომისიის მოწვეული კონსულტანტების ანაზღაურება ეს იყო პარლამენტის მოქმედი ბიუჯეტის ხარჯზე, ჩვენი შიდა ეკონომიის ხარჯზე, ასე რომ, მე მგონია, რომ ეს იყო კარგი და სწორი საქმიანობა, მაგრამ მას არ აღმოაჩნდა საკმარისი პოლიტიკური მხარდაჭერა, იმიტომ, რომ არ იყო პოლიტიკური კონსესუსი წამყვან ძალებს შორის, ვინც პარლამენტშია წარმოდგენილი, — აღნიშნა ჟურნალისტებთან საუბრისას საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ.

**ნიუპოსტი**

# მანანა კობახიძე: „ელისაშვილის მიზანია, რომ ყოველდღე ნიუსში გავიდეს“

პარლამენტის ვიცე-სპიკერის მანანა კობახიძის განცხადებით, ის ალეკო ელისაშვილთან დაკავშირებით კომენტარის გაკეთებას აღარ აპირებს.



კობახიძის თქმით ელისაშვილის განცხადებები პოლიტიკურ მიზნებს ემსახურება და ამით ის აქტუალობას ინარჩუნებს რათა ყოველდღე ჩანდეს ნიუსებში:

— აღარ ვაპირებ მე ელისაშვილის თემაზე კომენტარის გაკეთებას იმიტომ, რომ მისი მიზანია, რომ ყოველ დღე ნიუსში გავიდეს მისი თემა და საზოგადოებას ეს რამდენად აინტერესებს მოდით ვკითხოთ.

დაელოდოს პროკურატურას და ის გასცემს იმ კითხვებზე პასუხს, რაც შეიძლება რომ ჯერ კიდევ ისმოდეს, თუმცა მე კიდევ ვამბობ, რომ მას აქვს კონკრეტული, მკაფიო პოლიტიკური მიზნები და ამ მიზნებს ემსახურება მისი ნებისმიერი განცხადება. უკვე არასერიოზულია, — განაცხადა მანანა კობახიძემ.

**ნიუპოსტი**

# გიგა ბოკერია: „ეს საარჩევნო სისტემა არის ანტიკონსტიტუციური“

ბოკერიას შეფასებით არჩევნები შესაძლოა ანტიკონსტიტუციური სისტემით ჩატარდეს ან საერთოდ ვერ ჩატარდეს.



ერთიანი ნაციონალური მოძრაობის საგარეო მდივნის გიგა ბოკერიას შეფასებით ხელისუფლების მიერ წარმოდგენილი საარჩევნო სისტემა არაკონსტიტუციურია და ემსახურება იმას, რომ მმართველ პარტიას არჩევნებში გამარჯვება გაუადვილდეს:

**გიგა ბოკერია:**

— საარჩევნო სისტემაში მთელი კასკადია პრობლემების. თავისივე საარჩევნო დაპირებას არ ასრულებენ და, როგორც ყველაფერ დანარჩენშიც, „გადამგდებები“ არიან საკუთარი ამომრჩევლის, საზოგადოების. ამასთან ერთად, ახალი საარჩევნო დაყოფა პირდაპირ არის დაყრდნობილი წინა არჩევნების შედეგებზე, სადაც ოპოზიციას ძლიერი პოზიციები ჰქონდა, ის ადგილები არის გამქრალი და ეს ყველაფერი დახაზულია ისე, რომ არჩევნებში გამარჯვება გაუადვილდეს მმართველ პარტიას.

ისინი ამ გამარჯვებას მაინც ვერ მოახერხებენ, მაინც ყველა შემთხვევაში დამარცხდებიან, მაგრამ ეს სისტემა არის ანტიკონსტიტუციური იმიტომ, რომ არ ეყრდნობა სამართლიან კრიტერიუმებს და ეს დიდ პრობლემებს შეუქმნის ქვეყანას, რადგან ანტიკონსტიტუციური სისტემით შეიძლება, ჩატარდეს არჩევნები ან საერთოდ ვერ ჩატარდეს.

**ნიუსპოსტი**

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# კონსტანტინე გამსახურდია: „არჩევნებში შეიძლება დამოუკიდებელი კანდიდატი ვიყო“

ნათია ხურცილავა

არასაპარლამენტო ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი კონსტანტინე გამსახურდია „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საარჩევნო კანონმდებლობასა და პრემიერთან დაანონსებულ მორიგ შეხვედრაზე საუბრობს.

**კონსტანტინე გამსახურდია:**

– ვენეციის კომისია, რომელიც დღეს თბილისში იმყოფება, თავიდანვე მხარს უჭერდა ინტერპარტიული ჯგუფის წინადადებებს, რაც საარჩევნო სისტემის შეცვლას გულისხმობს და შემდეგ უკვე სხვა მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელებას.

აქ იგულისხმება საარჩევნო ბარიერის დაწევა, საარჩევნო კომისიის დაკომპლექტება, საეთერო დროის განაწილება, დაფინანსება და ა.შ. მთავარი მაინც არის სისტემის ცვლილება. ინტერპარტიული ფორმატი თავიდან სწორედ არსებული საარჩევნო სისტემის შეცვლის მიზნით შეიქმნა. სახელისუფლო გუნდმა დააყენა საკითხი, რომ ის არ აპირებს ამ სისტემის ცვლილებას ამ საპარლამენტო არჩევნებზე და ეს მხოლოდ 2020 წლისთვის მოხდება.

თავიდან ითქვა, რომ ვერ მოესწრება ამის განხორციელება, შესაბამისად, ვერც საკონსტიტუციო ცვლილებები ვერ მოხერხდება და ა.შ. თუმცა, არსებობს შესაძლებლობები, რომ საკონსტიტუციო ცვლილებების გარეშე მოხდეს ცვლილებები.

***– როგორ?***

– მარტივად, საარჩევნო კოდექსში უნდა შევიდეს ცვლილებები. ამაზე ალბათ კიდევ იქნება საუბარი, რადგან ეს პროცესი არ დასრულებულა და ჩვენ, არასაპარლამენტო ოპოზიცია, კვლავ ვითხოვთ საარჩევნო სისტემის ცვლილებებს.

***– არასაპარლამენტო ოპოზიცია როდესაც პრემიერ კვირიკაშვილს შეხვდა, ითქვა, რომ სამუშაო ჯგუფი შეიქმნებოდა. რა ეტაპზეა ეს პროცესი? თუ არის შემდეგი შეხვედრა დაგეგმილი პრემიერთან?***



– პრემიერის შემოთავაზება ძალაშია და ვფიქრობ, რომ ასეთი შეხვედრა აუცილებლად შედგება. მე რამდენადაც ვიცი, პრემიერთან შეხვედრა ჩანიშნულია მთავრობის კანცელარიაში.

***– რა ფორმატზეა საუბარი? ეს შეიძლება იყოს სამუშაო ჯგუფი?***

– ალბათ საუბარია სამუშაო ჯგუფზე, ჯერჯერობით წინასწარი ინფორმაცია არ გვაქვს, არ ვიცით, რა შემოთავაზება იქნება.

***– თუ საარჩევნო სისტემის ცვლილებებს ვერ მიაღწიეთ, არასაპარლამენტო ოპოზიცია სისტემით წავა არჩევნებზე?***

– არჩევნებზე წასვლა ყველა შემთხვევაში საჭიროა. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ქვეყანას ცუდ შედეგს მოუტანს. ფაქტია, რომ ბოლომდე ეს საარჩევნო სისტემა არ იქნება და რაღაც აუცილებლად შეიცვლება, მაგრამ რა შეიცვლება და რა დოზით, ამას ვნახავთ.

***– შეიძლება დათმობაზე წავიდეს ინტერპარტიული ჯგუფი და ამ მოცემულობით გაჰყვეთ ხელისუფლებას არჩევნებზე? მაგალითად, ალასანიას პარტია მზად არის, ამ ცვლილებებს თუ ახლა ვერა, მომავალი არჩევნებისთვის დაელოდოს.***

– არაფერია გამორიცხული.

***– ანუ ასეთი საუბრები შესაძლოა თქვენს გუნდშიც გაჩნდეს? არასაპარლამენტო ოპოზიციას ვგულისხმობ.***

– შესაძლოა. თუმცა, დაზუსტებით ამის თქმა გამიჭირდება, თუ ვისგან იქნება ამაზე თანხმობა, მაგრამ შესაძლოა ეს დასკვნა გაჩნდეს, რადგან რეალპოლიტიკა რეალპოლიტიკაა. გახსოვთ 2008 წლის არჩევნები, როდესაც საუბარი იყო, რომ პარლამენტში არ შევსულიყავით, მანდატებიც დაიხია, ძალიან მკვეთრ ქმედებებს ჰქონდა ადგილი, მიუხედავად ამისა, ბოიკოტი ჩავარდა.

***– როგორია თქვენი მოლოდინები ამ არჩევნების მიმართ?***

– ეს საპარლამენტო არჩევნები მართლაც არის უმნიშვნელოვანესი არჩევნები და ის მართლაც განსხვავდება სხვა ბევრი არჩევნებისგან. ამ არჩევნების შედეგად ჩვენი ქვეყნის კურსი კიდევ ერთხელ უნდა განმტკიცდეს. ერთხელ და სამუდამოდ უნდა განმტკიცდეს ის გზა, რა მიმართულებითაც დღეს მიდის ქვეყანა. ასევე უნდა იქნას მიღებული ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც სამშვიდობოს გაგვიყვანს. მე ვფიქრობ, ჩვენ აუცილებლად გავალთ სამშვიდობოს.

***– ეს იქნება ორპარტიული არჩევნები თუ მრავალპარტიულ პარლამენტს მივიღებთ?***

– ეს მართლაც იქნება მრავალპარტიული არჩევნები. დაახლოებით ხუთი პარტია იქნება ახალ პარლამენტში წარმოდგენილი. ეს კი მოგვცემს პირველად ჩვენს ისტორიაში შესაძლებლობას, რომ კოალიციური მთავრობა დავაკომპლექტოთ. ისეთი პოლიტიკური ძალებისგან იქნება ეს მთავრობა დაკომპლექტებული, რომლებიც, როგორც წესით, ერთმანეთთან არ თანამშრომლობენ. ეს კი იქნება იმის სიგნალი, რომ ჩვენი პოლიტიკური სიმწიფე ამაღლდა და ქვეყნის ინტერესები უფრო მნიშვნელოვანი გახდა.

ამ პოლიტიკურ სიმწიფეს და ამ სიბრძნის დაბადებას დასჭირდა მთელი ეს დრო, არაერთი წელი, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ გამოიარა. ბოლოს და ბოლოს, როდესაც თავს ამდენი წელი ბეტონის კედელზე გარტყმევინებენ, უნდა ისწავლო, რომ ცუდია ამ პოზიციაში ყოფნა.

***– მთელ ამ პროცესში სად მოიაზრებთ თქვენს თავს, მიიღებთ არჩევნებში მონაწილეობას როგორც დამოუკიდებელი კანდიდატი თუ რომელიმე პოლიტიკურ ძალასთან იპოვეთ საერთო?***

– შესაძლოა, დამოუკიდებელი კანდიდატი ვიყო და ისე მივიღო არჩევნებში მონაწილეობა. ვნახოთ, ჯერ ბოლომდე ჩამოყალიბებული არ ვარ. რაც შეეხება რომელიმე პოლიტიკურ ძალასთან საერთოს, შეიძლება ჯერ არ ჩანს და შემდეგ გამოიკვეთოს. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები.

## წყალს, საიდანაც თბილისი მარაგდება, ხე-ტყის მომპოვებლები აბინძურებენ



მდინარე ფშავის არაგვის მარჯვენა შენაკადის, კისხევის სათავეებთან, 2009 წელს გაცემული ლიცენზიის საფუძველზე, მიმდინარეობს ჭრები და სამასალე მერქანი მზადდება.

კავკასიის გარემოსდაცვითი ქსელის ინფორმაციით, ხეები იჭრება მდინარის კალაპოტის ორივე მხარეს 150-200 მეტრიან ზოლში, დაახლოებით, 30 დახრილობის ფერდობებზე. სატყეო გზად კი მდინარის კალაპოტია გამოყენებული და მძიმე ტექნიკა იმ მდინარეში დადის, რომელიც თბილისს სასმელი წყლით ამარაგებს.

CENN-ის განცხადებითვე, კანონდარღვევები აშკარაა და ის შემდგომ შესწავლას საჭიროებს. ამისათვის ეროვნული სატყეო სააგენტოსგან უკვე გამოთხოვილია შესაბამისი დოკუმენტაცია, რომლის ანალიზის საფუძველზეც უახლოეს დღეებში გავრცელდება ინფორმაცია კონკრეტულ დარღვევებზე.

თუმცა, მართვის გეგმაში ჩაუხედავადაც ცხადია, რომ მდინარეში, რომლის წყლითაც მარაგდება თბილისის მოსახლეობა, არ უნდა გადაადგილდებოდეს დამამზადებლების ტექნიკა და ნავთობპროდუქტების ნარჩენები სასმელ წყალში არ უნდა ირეცხებოდეს.

– მდინარე არაგვის და ივრის წყალშემკრებ აუზებს და მათ ეკოლოგიურ მდგრადობას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, რადგან ეს ორი მდინარე ამარაგებს სასმელი წყლით დედაქალაქის მზარდ მოსახლეობას და ამ მდინარეებიდან ირწყვება მცხეთისა და საგარეჯოს მიწები, – აცხადებს ჩ ჭჭ-ის რეგიონული კოორდინატორი მცხეთა-მთიანეთში გიორგი იორამაშვილი.

მისი თქმით, ამ მდინარეების აუზებში არსებულ ტყეებზე განსაკუთრებით დიდი დატვირთვა მოდის, რადგან გაცემულია გრძელვადიანი ლიცენზიები, მრავლადაა სოციალური ტყეკაფები და აქედანვე გაიცემა თავდაცვის სამინისტროს ყოველწლიური მოთხოვნა 5,000 კუბურ მეტრზე“.

– თუ ეს ტენდენცია კიდევ რამდენიმე წელი გაგრძელდა და ამ მდინარეების კალაპოტებს სათავეებამდე ჩეხვით ავყევით, სადაც ჯერ კიდევაა შემორჩენილი პირველადი ტყეები, შეიძლება ეკოსისტემების დეგრადაციისა და ტყის ნიადაგდაცვითი და წყალმარეგულირებელი ფუნქციის დასუსტების გამო თბილისს სასმელი წყლის პრობლემა შეექმნას. ასევე მოიმატებს მეწყრების საფრთხე და მდინარის ინერტული ჩამონატანი, რაც კალაპოტების აწევას გამოიწვევს, – აცხადებს გიორგი იორამაშვილი.

მისივე თქმით, ამ მდინარეების ქვემო წელში არსებობს სიონის და ჟინვალის ჰესები, რომლებმაც კალაპოტების დახრილობა მნიშვნელოვნად შეამცირა და ჩამონატანი მასის აკუმულირება უკვე ზემო წელში ხდება. ტყეების არასწორმა ექსპლოატაციამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას ნაპირებთან მცხოვრებ მოსახლეობას და ეკომიგრანტებად აქციოს.

**ნიუსპრესი**

## პროკურატურამ ბესელიას საქმეზე გამოძიება დაიწყო



მთავარმა პროკურატურამ ეკა ბესელიას პირადი ცხოვრების ამსახველი მასალის გავრცელების მცდელობის ფაქტზე გამოძიება დაიწყო.

ინფორმაცია ამის შესახებ ჟურნალისტებს მთავარი პროკურორის მოადგილემ გიორგი გოგაძემ მიაწოდა.

– პროკურატურაში გამოძიება დაიწყო. რა ეტაპზეა, ამაზე არ მაქვს ინფორმაცია. რეაგირება იქნება უმკაცრესი, რადგან ეს არის ამაზრზენი და ამორალური დანაშაული. ისტორიამაც აჩვენა, რომ ჩვენ ამ დანაშაულის მიმართ ვიქნებით უმკაცრესი, – განაცხადა გიორგი გოგაძემ.

გავრცელებული ინფორმაციით, საქართველოს მთავარმა პროკურატურამ ეკა ბესელიას პირადი ცხოვრების ამსახველი მასალების გავრცელების მცდელობისთვის მოქალაქე გელა ღურწკაია დააკავა.

**მედიანიუსი**

## იან კელი: „მედია ყველა პოლიტიკური ძალისთვის უნდა იყოს ხელმისაწვდომი“



საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის იან კელის განცხადებით, აუცილებელია, რომ მედიასაშუალებები ყველა პოლიტიკური ძალისთვის იყოს ხელმისაწვდომი.

აღნიშნულით იან კელი „მაესტროს“ ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს ეხმაურება.

მისივე თქმით, იმისათვის, რათა საქართველომ, როგორც დემოკრატიულმა ქვეყანამ, წარმატებას მიაღწიოს, აუცილებელია, არჩევნები სამართლიან გარემოში ჩატარდეს.

– თვალს ვადევნებ მიმდინარე მოვლენებს. გვსურს, რომ საქართველომ, როგორც დემოკრატიულმა ქვეყანამ, წარმატებას მიაღწიოს. ამისთვის აუცილებელია სამართლიან გარემოში ჩატარებული არჩევნები, ხოლო იმისთვის, რათა არჩევნები ჩატარდეს თავისუფალ გარემოში, ყველა პოლიტიკური ძალისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს მედიასაშუალებები და თანაბარი სათამაშო ველი უნდა იყოს შექმნილი, – განაცხადა იან კელიმ.

**ნიუსპრესი**

# კახა კუკავა: „ოცნება“ თუ ისევ უმრავლესობით მოვა, რევოლუცია მოხდება“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ეს არის კორუმპირებული სისტემა, რომელსაც წერტილი უნდა დაესვას, თუ გვინდა, რომ სახელმწიფოდ ჩამოვყალიბდეთ. ევროინტეგრაცია გვინდა და თან პარლამენტში კახა ოქრიაშვილი და მისნაირები გვყავს, ეს უბრალოდ სირცხვილია!

***– მეორე მხრივ გვესმის, რომ მაჟორიტარული სისტემა კარგია, რომ ეს ამერიკული მოდელია.***

– მე როცა მქონდა პარლამენტში ჩემი პრეზენტაცია, იქ ამერიკულ მოდელზე ვისაუბრე. იცით რატომ მუშაობს ამერიკაში ეს სისტემა ასე კარგად?!

***– რატომ?***

– იმიტომ, რომ ამერიკაში არის ორპარტიული სისტემა. ამ ორ პარტიას აქვს თანაბარი ფული, თანაბარი წვდომა ტელევიზიებზე, თანაბარი რაოდენობით გუბერნატორები, სენატორები, ანუ არიან დაახლოებით თანაბარი ძალის მქონენი და ისინი იგებენ დაახლოებით თანაბარი რაოდენობის მაჟორიტარულ ოლქებს. არასოდეს ამერიკის ისტორიაში არ მომხდარა, რომ ერთმა პარტიამ მოიგოს 100%, ან თუნდაც 80% მაჟორიტარული ოლქებისა. ასე რომ, ამერიკაში მაჟორიტარული სისტემა არ არის დაკავშირებული იმ რისკებთან, რაც საქართველოში.

***– რა ხდება ამ მხრივ საქართველოში?***

– საქართველოში ორი ასეთი თანასწორი პარტია არ არსებობს. აქ ყოველთვის არის ერთი მონოლითური პარტია, რომელიც აკონტროლებს ათჯერ მეტ ფულს, ვიდრე ყველა დანარჩენი პარტია ერთად აღებული. აკონტროლებს მედიას, ყველა გუბერნატორს, ყველა გამგებელს, აბსოლუტურად ყველას და ყველაფერს და ჩვენ ვიღებთ სამარცხვინო შედეგებს, როდესაც ისინი იგებენ მაჟორიტარული ოლქების 99%-ს. აქედან გამომდინარე საქართველოს და ამერიკის შედარება უადგილოა.

***– ანუ ივანიშვილი ძალაუფლების დათმობას არ აპირებს?***

– რა თქმა უნდა, არ აპირებს, მას უნდა, რომ ამ მანიპულაციებით შეინარჩუნოს ძალაუფლება, თუმცა ამასაც აქვს თავისი საზღვრები. 5 და 10%-იანი გაყალბება საზოგადოებამ შეიძლება ჩაყლაპოს, მაგრამ რა დოზითაც ის გეგმავს გაყალბებას, ამდენს ხალხი ვერ ჩაყლაპავს.

მე ხეების გადარგვა ვახსენე ზემოთ და ეს გამოხატავს სწორედ მის დამოკიდებულებას, როდესაც ეს ქვეყანა მთლიანად პირადი საკუთრება ჰგონია. აბა ერთი მისწერეთ ხაბაძეს და უთხარით, რომ გაზეთ „ახალი თაობის“ რედაქციას სურს, თავისი რედაქციის ეზოში გადარგოს ეს ასწლოვანი ხე ციხისძირიდან. მოგცემენ ამის ნებართვას?! არავინ მოგცემთ. ასწლოვანი ნარგავების მოთხრაზეა საუბარი. ის, რაც არავისთვის შეიძლება, შეიძლება ივანიშვილისთვის, ეს ნიშნავს, რომ ჩვენ სახელმწიფო არ გვაქვს!

***– ანუ თუ გაიმარჯვა „ოცნებამ“, კიდევ ერთი რევოლუცია გარდაუვალია?***

– კი. მე ვფიქრობ, რომ ეს გარდაუვალი იქნება. მე არ ვამბობ იმას, რომ ან ჩვენ ვგეგმავთ რევოლუციას და მაინცდამაინც ეს იქნება ოქტომბერში. მე ვამბობ, რომ როდესაც ასეთი რეიტინგი აქვს ხელისუფლებას და ის მაინც უმრავლესობას მოიპოვებს, გამოჩნდება ახალი რადიკალური ლიდერი, რომელიც იტყვის, წავიდეთ, დავამხოთ ივანიშვილი.

როდესაც ხელისუფლება არ ტოვებს კონსტრუქციულ გზებს ხელისუფლების შესაცვლელად, მაშინ ასპარეზზე გამოდიან რადიკალური ლიდერები. ამ ფაზამდე აუცილებლად მივალთ. თუ 2016 წლის არჩევნებზე „ოცნებამ“ არ დაკარგა უმრავლესობა და საზოგადოებამ არ დაინახა, რომ არჩევნებში მონაწილეობას აზრი აქვს, მომიცია თქვენთვის გარანტია, რომ არჩევნების შემდეგ დაიწყება მარგინალური ძალების ზრდა, რომლებიც ამ ქვეყანაში მოაწყობენ რევოლუციას.

# მორიგი სკანდალი „ქართულ ოცნებაში“

## მურმან დუმბაძე: „არმაზ ახვლედიანს არჩილ ხაბაძის ადგილი უნდოდა“

შორენა მარსაგიშვილი

„ქართულ ოცნებაში“ სკანდალები გრძელდება. პარტიის პოლიტსაბჭოს წევრი არმაზ ახვლედიანი აცხადებს, რომ მათთან საბჭოთა მენტალიტეტი სუფევს და იქ ბებერი ნიანგები არიან. ამ მოსაზრებას ადასტურებს პარლამენტის ვიცე-სპიკერი მურმან დუმბაძე.

მისი თქმით, ის პარტიიდან სწორედ საბჭოთა მენტალიტეტის მატარებელმა ადამიანებმა გარიცხეს. რატომ არა აქვს ახვლედიანს სხვისი მენტალიტეტის განკითხვის უფლება და რატომ უპირისპირდება ის „ქართულ ოცნებას“, ამის შესახებ მურმან დუმბაძე „ახალ თაობას“ ესაუბრება.

**მურმან დუმბაძე:**

– „ქართულ ოცნებაში“ რომ საბჭოთა მენტალიტეტია, ამის შესახებ ყველაზე ადრე მე დავიწყე საუბარი. პარტიის რიგებიც ამ მენტალიტეტის მქონე ადამიანებმა დამატოვებინეს. ჩემი გარიცხვა „ქართული ოცნებიდან“ საბჭოთა მეთოდებით მოხდა. ამის მიუხედავად, არმაზ ახვლედიანის პოზიციას ვერ გავიზიარებ.

***– რატომ არ იზიარებთ მის მოსაზრებას?***

– რადგან კარგად ვიცი მისი პოლიტიკური წარსული.

***– რას გულისხმობთ?***

– მამამისი აზიზ ახვლედიანი იყო ბათუმის უნივერსიტეტის რექტორი. ასეთი პატიოსანი რექტორი საქართველოში მე არ მეგულება. იმ დროში, როცა ქრთამის აუღებლობა დანაშაულად ითვლებოდა, ამ ადამიანს ასეთი რამ ფიქრშიც კი არ გაუვლია. არმაზ ახვლედიანს მიღებული აქვს ძალიან კარგი განათლება, ამ მხრივ მასზე აუგს ვერაფრით ვიტყვი, მაგრამ პოლიტიკურ ნაწილში მას ვერასოდეს დავეთანხმები.

არმაზ ახვლედიანი პირველად საქართველოს პარლამენტის წევრი გახდა აღორძინებიდან. აღორძინებიდან წამოსვლის შემდეგ ის გადავიდა შევარდნაძესთან და იყო მოქალაქეთა კავშირის წევრი, რაც ჩემთვის კიდევ უფრო მიუღებელია. ის სააკაშვილის ხელისუფლების მიმართაც ლოიალურად იყო განწყობილი. 2012 წლის 1 ოქტომბრამდე მას ნაციონალები არასდროს გაუკრიტიკებია.

„ქართულ ოცნებასთან“ დაახლოება მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც გამოიკვეთა, რომ ივანიშვილი არჩევნებში გამარჯვებას მოიპოვებდა. 2012 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ ის აჭარის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტზეც კი განიხილებოდა. ამაზე ჩემი უარყოფითი პოზიცია ხმამაღლა დავაფიქსირე და მისი კანდიდატურა მოიხსნა დღის წესრიგიდან.



***– ვინ მოხსნა მისი კანდიდატურა?***

– ივანიშვილმა. იმ პერიოდში ის ჯერ კიდევ მისმენდა. მე ხმამაღლა ვთქვი, რომ ახვლედიანი ყველა ხელისუფლების მიმართ ლოიალურად განწყობილი ადამიანია და ასეთი ადამიანი კანონის შემსრულებელი ვერასდროს იქნება.

***– მისი კანდიდატურა თქვენ ჩაგიგდიათ. ახლა ამას ხომ არ ნანობთ, რადგან აჭარის მთავრობის მეთაური ძალიან არ მოგწონთ. ხაბაძის კანდიდატურა თქვენ მიერ ხომ არ არის შერჩეული?***

– ხაბაძის კანდიდატურას მე როგორ წარმოვადგენდი? ის ჩემთვის ყოველთვის მიუღებელი იყო და მიუღებლად დარჩება. ამის მიუხედავად, მაინც არ ვნანობ, რომ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე ახვლედიანი არ წარადგინეს. არმაზ ახვლედიანი ხაბაძისგან მხოლოდ განათლების მაღალი დონით გამოირჩევა. მათ შორის განსხვავება ის იქნებოდა, რომ მისი სახით განათლებულ არჩილ ხაბაძეს მივიღებდით.

***– ახვლედიანი „ქართულ ოცნებაზე“ მისი კანდიდატურის ჩაგდების გამო ხომ არ განაწყენდა?***

– არა, წყენამ მას ცოტა გვიან მოუარა. როცა გადაწყდა, რომ მას მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე არ წარადგენდნენ, პოლიტსაბჭოში, პოლიტიკური მდივნის თანამდებობა შესთავაზეს. ის „ქართულ ოცნებაში“ იქიდან ჩემი წამოსვლის შემდეგ გააქტიურდა.

***– თქვენ უშლიდით ამაში ხელს?***

**„ქართულ ოცნებაში“ საბჭოთა მენტალიტეტია გამეფებული“**

– რა იყო მისი პასიურობის მიზეზი, დანამდვილებით არ ვიცი. ფაქტია, რომ ჩემი წამოსვლის შემდეგ ძალიან აქტიური გახდა. ის საკუთარი სურვილით არ გააქტიურებულა.

***– ვინ და რატომ გაააქტიურა?***

– ბიძინა ივანიშვილმა ჩათვალა, რომ ის იქნებოდა „ქართული ოცნება – დემოკრატიულ საქართველოში“ ჩემი საპირწონე ვერსია. კარგად მახსოვს ისიც, როგორ ვსაუბრობდი მასთან პარტიაში არსებულ საბჭოთა მენტალობაზე. იმას, რასაც ახლა ახვლედიანი ამბობს, მე რამდენიმე წლის წინ ვეუბნებოდი, მაშინ მე ჯერ კიდევ „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს წევრი ვიყავი. ის მაშინ კატეგორიულად უარყოფდა ასეთ რაღაცას.

ახვლედიანი ივანიშვილს უკიდურესად უჭერდა მხარს, თვლიდა, რომ მე ახირებული კაცი ვიყავი და არასწორად ვფიქრობდი „ქართულ ოცნებაზე“.

***– ახლა რატომ ალაპარაკდა ამ პრობლემებზე. შეამჩნია თუ სხვა რამესთან გვაქვს საქმე?***

– ეს პრობლემები არც მაშინ დარჩებოდა შეუმჩნეველი, ახლა იმიტომ ალაპარაკდა, რომ რაღაც პრობლემები შეექმნა.

***– რა პრობლემები?***

– როგორც მე გავიგე, მას საარჩევნო სიაში არ სვამენ. არმაზ ახვლედიანი პოლიტიკურად ძალიან ამბიციური კაცია და ამას ასე იოლად არ შეეგუებოდა.



***– რატომ მიგაჩნიათ, რომ ის ამბიციური კაცია, მხოლოდ იმის გამო, რომ სიაში მოხვედრა სურს?***

– როგორც უკვე გითხარით, მისი კანდიდატურა განიხილებოდა აჭარის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე. რაკი ის შეთავაზებას დათანხმდა, გამოდის, რომ ამბიციური ადამიანია. ასეთ შეთავაზებებს მხოლოდ ამბიციური ხალხი თანხმდება ხოლმე.

***– ამბიციურობა ცუდია?***

– პოლიტიკური ამბიციურობა ძალიან ცუდია. დემოკრატიულ ქვეყნებს თუ დავაკვირდებით, იქ ხალხი ხელისუფლებაში ოპოზიციიდან მიდის. ხელისუფლება ადამიანს რყვნის და თუ ოპოზიციური ნაწილი გავლილი არ გაქვს, ხელისუფლებაში ძალიან სწრაფად გაირყვნები. ახვლედიანი კი ოპოზიციაში არასდროს ყოფილა.

მას პოლიტიკური ზრდის და მაღალი თანამდებობის დაკავების შანსები ამოეწურა და ამიტომაც დაუპირისპირდა „ქართულ ოცნებას“. მე კიდევ ერთხელ გიდასტურებთ, რომ „ოცნებაში“ საბჭოთა მენტალიტეტის ხალხია, მაგრამ ახვლედიანიც საბჭოთა ფუნქციონერია.

***– ეს რაში გამოიხატება?***

– ის ყველა ხელისუფლების მიმართ არის ლოიალური. გუნდში არსებულ ნაკლოვანებაზე იქვე უნდა ილაპარაკო და არა იქიდან წამოსვლის შემდეგ. როგორ შეიძლება იმ ადამიანის პროდასავლურობა და არასაბჭოურობა დავიჯერო, რომლისთვისაც ასლან აბაშიძე იყო იდეალი. მერე მოქკავშირის და შევარდნაძის მხარდამჭერი გახდა. ყოფილი მოქკავშირელის მიმართ ლოიალური ვერასდროს ვიქნები.

***– მოქკავშირელი იყო გიორგი კვირიკაშვილიც, თქვენ კი მისი მისამართით დადებითი პოზიცია დააფიქსირეთ.***

– გიორგი კვირიკაშვილი ირაკლი ღარიბაშვილზე უკეთეს პრემიერად მიმაჩნია. ნამდვილად ღიად ვთქვი, რომ ის უფრო სიმპათიურია პოლიტიკური თვალსაზრისით. ამასთან აღვნიშნე, რომ რაკი ის ყოფილი მოქკავშირელია, ჩემთვის ვერასდროს იქნებოდა ბოლომდე მისაღები. ასეა არმაზ ახვლედიანის შემთხვევაშიც.

თქვენ მკითხეთ, რაში გამოიხატება მისი საბჭოური მენტალიტეტიო, სხვა მაგალითსაც მოგიყვანთ. სხდომას, სადაც ჩემი პარტიიდან გარიცხვის საკითხი წყდებოდა, არმაზ ახვლედიანიც ესწრებოდა,

***– არაფერი უთქვამს?***

– ხმა არ ამოუღია. პოლიტსაბჭოს სხდომაზე ხმა არავის ამოუღია. არც ნოდარ ხადურს და არც კახა კალაძეს. ჩემ გარდა იქ სულ 12 კაცი იყო. კარგად მახსოვს, პარტიის ლიდერსა და მაშინდელ პრემიერ ღარიბაშვილს ვუთხარი, თუ ამ ოთახში სამართალს არ დაამკვიდრებთ, მაშინ ის მთელი ქვეყნის მასშტაბითაც ვერ დამკვიდრდება.

ვითხოვდი, რომ ჩემი არგუმენტები მომეყვანა, თუ რატომ არ მომწონდა პარტია „ქართულ ოცნებაში“ არსებული ვითარება. არაფერი მათქმევინეს და ჩემ დასაცავად ხმა არავის ამოუღია. ახვლედიანს მაშინაც არ ამოუღია ხმა, როცა წესების დარღვევით მოხდა პარტიიდან ჩემი გარიცხვა.

***– რა წესი დაირღვა?***

– ეს ღარიბაშვილმაც მკითხა, რა წესს ვარღვევო. ვუთხარი, საკითხი რომ გადაწყვიტო, ამას კენჭი უნდა უყაროთქო. ამაზე ოქმი უნდა გაფორმებულიყო. მე მოვთხოვე ახვლედიანს, იმ ოქმის ასლი გამოეგზავნა, მაგრამ არ გამოუგზავნია. როგორ გამომიგზავნიდა, როცა არანაირი ოქმი არ შემდგარა.

***– ეს ოქმი ასეთი მნიშვნელოვანი იყო?***

– პროცედურებს ძალიან დიდი კი არა, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დემოკრატიისთვის. ესეც ნათელი მაგალითია იმისა, რომ „ქართულ ოცნებაში“ საბჭოთა მენტალიტეტის ხალხია.

# გიორგი გოგაძე: „შეწყალების საქმის გამოძიება ბოლო ეტაპზეა“



ე.წ. შეწყალების საქმის გამოძიება ბოლო ეტაპზეა საქართველოს მთავარი პროკურორის მოადგილის, გიორგი გოგაძის ინფორმაციით, ე.წ. შეწყალების საქმეზე გამოძიება ბოლო ეტაპზეა.

როგორც გოგაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, სანამ გამოძიება არ დასრულდება დამატებით დეტალებზე ვერ ისაუბრებს.

– ეს საქმე გამოძიების ბოლო ეტაპზეა და ძალიან მალე გაიგებთ, თუ რა დადგინდება. სანამ გამოძიება არ დასრულდება რამის თქმა არასერიოზული იქნება, – განაცხადა გოგაძემ.

**ინტერპრესნიუსი**

# შსს-მ ე.წ.ბიო ამოიღო



შსს-ს სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტის ბორჯომის რაიონული სამმართველოს და ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ე.წ.ბიო ამოიღეს.

შსს-ს ინფორმაციით, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1993 წელს დაბადებული გიორგი ქ. ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით ბაკურიანში, თამარ მეფის ქუჩაზე დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას 0,00779 გრ ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერება – ე.წ. ბიო ამოიღეს. დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-2 ნაწილით).

**ინტერპრესნიუსი**



# ლევან გაჩეჩილაძემ შესაძლოა საჯარო რეესტრს უჩივლოს



ლევან გაჩეჩილაძე საჯარო რეესტრისგან „მაესტროს“ დირექტორად დარეგისტრირებას 15 თებერვალსაც დაელოდება, წინააღმდეგ შემთხვევაში, საჩივარს შეიტანს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ გაჩეჩილაძის ადვოკატმა ირაკლი კორძახიამ განუცხადა, საჯარო რეესტრს განცხადებით მიმართა.

მისი თქმით, განცხადებას დაურთო საქალაქო სასამართლოს განჩინება, სადაც არ დაკმაყოფილდა ბაია გადაბაძის მოთხოვნა „მაესტროს“ პარტნიორთა კრების ოქმის მოქმედების შეჩერების თაობაზე.

საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ ლევან გაჩეჩილაძის „მაესტროს“ დირექტორად დარეგისტრირების საკითხი 10 თებერვალს შეაჩერა.

უწყების განმარტებით, საჯარო რეესტრმა წარმოება 30 კალენდარული დღის ვადით, ეთერ (ბაია) გადაბაძის სარჩელის საფუძველზე შეაჩერა, რომელმაც სააგენტოს განცხადებით მიმართა სასამართლოში მიმდინარე დავის გადაწყვეტამდე შპს „სტუდია მაესტროს“ დირექტორის ცვლილება არ განხორციელდეს.

**ინტერპრესნიუსი**

# „სარფში“ ნარკოტიკული ნივთიერებების უკანონო შემოტანის ფაქტები გამოავლინეს




შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის სამსახურებრივმა ძაღლმა საბაჟო გამშვებ პუნქტზე „სარფი“ მარიხუანა აღმოაჩინა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შემოსავლების სამსახურიდან აცნობეს, 1,34 გრამი მარიხუანა აღმოჩნდა კონტროლის ზონაში თურქეთის მხრიდან შემოსულ ავტობუსში, რომელსაც თურქეთის მოქალაქე ო.ს. მართავდა. მებაჟე ოფიცრებმა ავტობუსში იპოვეს ასევე 1 აბი „ექსტაზი“.

მათივე ინფორმაციით, საბაჟო გამშვები პუნქტის „სარფის“ კონტროლის ზონაში თურქეთის რესპუბლიკის მხრიდან შემოვიდა საქართველოს მოქალაქე მ.პ., რომლის რისკის პროფილის საფუძველზე ფიზიკური დათვალიერების შედეგად აღმოჩენილ იქნა ფსიქოტროპული ნივთიერების შემცველი მედიკამენტი ACTIFED – 30 აბი.

აღნიშნული საქმეები შემდგომი რეაგირების მიზნით გადაეცა საქართველოს შსს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტის ხელვაჩაურის რაიონული სამმართველოს მახინჯაურისა და ურეკის პოლიციის განყოფილებებს.

**ინტერპრესნიუსი**

**გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# „ვისოლგაზი“ კახეთში გაზის ტარიფს აძვირებს

1 აპრილიდან „ვისოლგაზი“ თელავსა და კახეთის რეგიონის ზოგიერთ სოფელში კუბური მეტრი ბუნებრივი აირის ღირებულებას 11 თეთრით აძვირებს.

გაზის ტარიფი 48 თეთრიდან 59 თეთრამდე იზრდება.

„ვისოლგაზმა“ მოსალოდნელი ცვლილების შესახებ მოსახლეობის გაფრთხილება იანვრიდან დაიწყო. ტარიფის ზრდას, ბუნებრივია, ადგილობრივების უკმაყოფილება მოჰყვა. ჰქონდა თუ არა „ვისოლგაზს“ ბუნებრივ აირზე გადასახადის გაზრდის უფლება კომუნიკაციების ეროვნული კომისიის შესაბამისი გადაწყვეტილების გარეშე?!

ამ საკითხზე ენერგოომბუდსმენ სალომე ვარდიაშვილს ვესაუბრეთ.

მისი თქმით, მარეგულირებელი კომისია



ტარიფებს გაზის სექტორისთვის 2007 წლიდან აღარ ადგენს.

— სამწუხაროდ, უნდა ავხსნათ, რომ გაზის სექტორი ტარიფების ნაწილში დერეგულირებულია. ენერგეტიკის მინისტრის 2007 წლის 25 სექტემბრის ბრძანებულებით, გაზის სექტორისათვის ტარიფებს მარეგულირებელი კომისია აღარ ადგენს, — აღნიშნავს ენერგოომბუდსმენი.

ვარდიაშვილის განცხადებით, ამ ეტაპზე შეუძლებელია, რომ მთავრობამ ან მარეგულირებელმა კომისიამ „ვისოლგაზზე“ რაიმე ტიპის საზედამხედველო პოლიტიკა განახორციელოს.

— ძალიან სამწუხაროა, მაგრამ კომპანიას ტარიფის კორექტირების უფლება აქვს, — აღნიშნავს ვარდიაშვილი.

მისი თქმით, „ვისოლგაზმა“ მოსახლეობის ინფორმირება მოსალოდნელ ცვლილებასთან დაკავშირებით, დროულად, რამდენიმე თვით ადრე დაიწყო.

ენერგოომბუდსმენის კახეთის რეგიონალური თანაშემწე სოფიო აივაზაშვილი „ბიზნესპრესნიუსთან“ საუბარში აცხადებს, რომ ტარიფის ცვლილება ეხებათ მხოლოდ 2008 წლის შემდეგ გაზიფიცირებულ აბონენტებს.

მისი თქმით „ვისოლგაზმა“ მოსახლეობისთვის სპეციალური ბუკლეტების დარიგება იანვრიდან დაიწყო და საინფორმაციო შეტყობინებების დარიგებას კომპანია ეტაპობრივად ახორციელებს.

— რამდენად სრულად არის მოსახლეობა ინფორმირებული, ვერ გეტყვით, მაგრამ ჩვენ ჩვენი ძალებითაც ვცდილობთ, მოსახლეობას ეს ინფორმაცია მივაწოდოთ, — აღნიშნავს სოფიო აივაზაშვილი.

**ქრისტინე გამთენაძე, ბიპიენი**

# „თურქსელი“ „ჯეოსელის“ შეძენას გეგმავს

თურქეთის უდიდესი მობილური ოპერატორი კომპანია „თურქსელი“ „თელიასონერას“ მფლობელობაში არსებული აქციების შეძენას გეგმავს.

„თურქსელის“ აღმასრულებელმა დირექტორმა, კაან თერზიოღლუმ თავის განცხადებაში აღნიშნა, რომ კომპანია „ფინტურ ჰოლდინგის“ 58.55%-იანი წილის შეძენას შეეცდება. ამჟერად კომპანია „ფინტურის“ 41.45%-ს ფლობს, რომელიც საქართველოში, აზერბაიჯანში, ყაზახეთსა და მოლდოვაში მუშაობს.

უფრო კონკრეტულ დეტალებზე თერზიოღლუს არ უსაუბრია.

თურქეთის სატელეკომუნიკაციო ორგანოსთან სალიცენზიო ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, რომელიც 4.5 ჯი სისწრაფის მობილურ ინტერნეტის გავრცელებას ითვალისწინებდა, თერზიოღლუმ აღნიშნა, რომ კომპანიის აქციების შესახებ მსჯელობა მუდმივად მიმდინარეობს.

უდიდესი შვედური სატელეკომუნიკაციო კომპანია „თელიასონერას“ „ფინტურის“ წილი დაახლოებით 430 მილიონ დოლარადაა შეფასებული.

„თელიასონერა“ „თურქსელის“ აქციების 38%-ს ფლობს, რითიც მისი უდიდესი მეწილეა.

„თურქსელმა“ გაფართოება მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც წლების განმავლობაში სამ მთავარ მეწილეს შორის მიმდინარე განხილვები დასრულდა.

გასული წლის დეკემბერში გავრცელდა ინფორმაცია, რომ „ჯეოსელის“ მფლობელი „თელიასონერა“ აქტივების გაყიდვის შესახებ „თურქსელთან“ მოლაპარაკებებს ადასტურებს, თუმცა აცხადებს, რომ მოლაპარაკებები სხვა კომპანიებთანაც მიმდინარეობს და საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული არ არის.

რამდენიმე კვირის წინ გაჩნდა ცნობა, რომ ევრაზიის რეგიონიდან „თელიასონერას“ გასვლის პროცესი შესაძლოა გაჭიანურდეს

იმის შესახებ, რომ ჯეოსელის მფლობელი „თელიასონერა“ საქართველოდან, უზბეკეთიდან, მოლდოვადან, ყაზახეთიდან, აზერბაიჯანიდან და ტაჯიკეთიდან გადის, გასული წლის სექტემბერში გახდა ცნობილი.

**კომერსანტი**

# იანვარში 8,9 მლნ დოლარით ნაკლები ფულადი გზავნილი შემოვიდა



მიმდინარე წლის იანვარში ქვეყანაში შემოსული ფულადი გზავნილების ნაკადების მოცულობამ 66.5 მლნ აშშ დოლარი, ანუ 162.1 მლნ ლარი შეადგინა, რაც 11.8 პროცენტით (8.9 მლნ აშშ დოლარით) ნაკლებია 2015 წლის იანვრის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

როგორც ეროვნულ ბანკში აცხადებენ, უცხოეთიდან საქართველოში ფულადი გზავნილების 88.1 პროცენტი იმ 11 უმსხვილეს დონორ ქვეყანაზე მოდის, საიდანაც ასეთი გზავნილების მოცულობამ იანვარში 1 მლნ აშშ დოლარს გადააჭარბა.

იმავე 11 ქვეყანაზე გასული წლის იანვარში მთელი ფულადი გზავნილების 88.8 პროცენტი მოდიოდა.

2016 წლის იანვარში საქართველოდან საზღვარგარეთ 11.9 მლნ აშშ დოლარი (29.0 მლნ ლარი) გადაიგზავნა, ნაცვლად 12.5 მლნ აშშ დოლარისა (24.3 მლნ ლარისა) გასული წლის იანვარში.

# სკანდალური დოკუმენტი

## რა აკავშირებს მიხეილ სააკაშვილს ციხისძირის ხეებთან

ციხისძირიდან 3 ერთეული ხის გადარგვის საკითხი უკანასკნელ პერიოდში ნაციონალურმა მედიამ ერთ-ერთ მთავარ თემად აქცია.

„რუსთავი 2“-ის საინფორმაციო გამოშვებები ამ თემას ფართოდ აშუქებდნენ და აქტუალიზაციას ახდენდნენ. ხეების გადარგვის საწინააღმდეგოდ გამართულ აქციებში თავიდან ნაციონალური მოძრაობის ადგილობრივი აქტივისტები და საკრებულოს წევრები მონაწილეობდნენ, შემდგომში მათ რიცხვს ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაცია და ნაციონალური მოძრაობის ლიდერები — გივი თარგამაძე, ნუგზარ წიკლაური და კობა ხაბაზი შეუერთდნენ.

აქციის მონაწილეები სამუშაოების განმახორციელებელ კომპანია „ზიმოს“ მუშაობის შესაძლებლობას უზღუდავდნენ, რასაც საქმეში პოლიციის ჩართვა და ზოგიერთი პირის (პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევის გამო) ადმინისტრაციული წესით დაკავება მოყვა.

საკითხის სიმწვავიდან გამომდინარე ადგილზე ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილიც მივიდა და აქციის მონაწილეებს პირადად გაესაუბრა.

აქციის მონაწილეების პრეტენზიის პასუხად, რომლებიც გამოთქვამდნენ ეჭვს, რომ სამუშაოების მწარმოებელ კომპანიას ხის გადაზიდვასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია სრულად მოწესრიგებული არ ჰქონდა, ივანიშვილმა განაცხადა, რომ ამ საკითხით პირადად დაინტერესდებოდა, მანამდე კი კომპანიას სამუშაოებს შეჩერებას სთხოვდა.

დღეის მდგომარეობით, ციხისძირში სამუშაოები დროებით შეჩერდა და საპროტესტო აქციის მონაწილეების ხმაც მედიიდან აღარ ისმის.

* * *

შექმნილი ხმაურის ფონზე, ყველასთვის საინტერესო გახდა, თუ რა ხდება რეალურად ციხისძირში, რა ღირებულება აქვს ხსენებულ 3 ცალ ხეს, რატომ გახდა ეს საკითხი აქტუალური მედიისთვის და აქციებში მონაწილე არასამთავრობოებისთვის და რატომ აუჩუყდათ ნაციონალური მოძრაობის წევრებს 3 ერთეულ ხეზე გული, მაშინ როდესაც, მათი ხელისუფლებაში ყოფნის პირობებში ჰექტრობით ხე-ტყე გაიკაფა.

სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, 2006-2011 წლებში გაცემული ტყითსარგებლობის ლიცენზიებიდან 38 გრძელვადიანი ლიცენზია ჯერ ისევ მოქმედია და მათი ყოველწლიური ასათვისებელი რესურსი დაახლოებით 170.000 კბმ ხე-ტყეა, თუმცა, აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ წლებში წლიური ასათვისებელი მოცულობები, სხვადასხვა ფაქტორების გამო, 67.056 კბმ-ს აღარ აჭარბებს.

ასევე ტყის ჭრა ხორციელდება სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე, სოციალური მიზნებისთვის — მოსახლეობის მერქნულ რესურსზე მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით და



საქართველოს პრეზიდენტის

განკარგულება

№ 03/08/04 2011 წლის 3 აგვისტო ქ. თბილისი

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების REDMAN FEDERATION INC-თვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების თაობაზე

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, ქობულეთი, სოფელ ციხისძირში მდებარე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული: 433 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) სარეგისტრაციო #20.46.01.006)); 391 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) სარეგისტრაციო #20.46.01.007)); 27 557 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) სარეგისტრაციო #20.46.01.008)); არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული 199 კვ.მ შენობა-ნაგებობა (მიწის (უძრავი ქონების) სარეგისტრაციო #20.46.01.009.01.500)); 33 780 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) სარეგისტრაციო #20.46.01.010)); 28 217 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) სარეგისტრაციო #20.46.01.011)) პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაეცეს REDMAN FEDERATION INC-ს;

2

2. საპრივატიზებო პირობად განისაზღვროს საპრივატიზებო საფასურის გადახდა შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარულ დღეში;

3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ ამ განკარგულების შესრულების მიზნით განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებები.

მიხეილ სააკაშვილი

№1

ყოველწლიურად ეს რიცხვი დაახლოებით 600.000 კბმ-ია.

საკითხის შესწავლისას გაირკვა, რომ ციხისძირის შემთხვევაში საქმე ეხება ერთი ხეტიტას და ორი ევკალიპტის ხის გადარგვას ციხისძირის ტერიტორიიდან, რომელიც მოსახლეობისგან საკმაოდ შორს, სარკინიგზო ხაზის მომიჯნავე ტყეში დგას. ხეები არ შედიან წითელ ნუსხაში, არ წარმოადგენენ იშვიათ ენდემურ ჯიშს და არც რაიმე განსაკუთრებული სტატუსით არიან დაცულები.

რაც შეეხება მათ ასაკს, როგორც სპეციალისტები განმარტავენ, ტყის რესურსის განახლების მიზნით საკაფად სწორედ 100 წელს მიტანებული და უფრო დიდი ასაკის ხეები ირჩევა და, შესაბამისად, ამ მხრივაც ციხისძირის ხეების ასაკი მათი გადატანის საწინააღმდეგო არგუმენტად ვერ იქნება გამოყენებული, რადგან წლოვანება ხეს ფასეულობას არ მატებს — პირიქით.

მოცემული 3 ხე სახელმწიფოს ეკუთვნოდა და ზუსტად იგივე რეგულაციებით უნდა განეკარგა, როგორც ეს ჩვეულებრივ სხვა ხეების შემთხვევაში ხდება, იქნება ეს საშეშედ გამოყენება, თუ რაიმე სხვა მიზნით გასხვისება.

ხეების ფასი აუდიტის მიერ იქნა დადგენილი და 3 ხის საფასურად შპს „ზიმომ“ სახელმწიფოს 6.200 ლარი გადაუხადა. შესაბამისად, კანონმდებლობით, ხეები შპს „ზიმოს“ საკუთრებას წარმოადგენს და მას მათი არათუ გადარგვის, არამედ პირდაპირ მოჭრის უფლებაც აქვს. აქვე თუ გავითვალისწინებთ, რომ ზემოთ მოყვანილ ხე-ტყით სარგებლობის მასშტაბებთან შედარებით, ხმაურის მიზეზი 3 ხე ზღვაში წვეთიც არ არის და ეკოლოგები თუ ბოტანიკოსები ვერავითარ პრობლემას ვერ ხედავენ ამ 3 ხის გადარგვაში და მიაჩნიათ, რომ ეს ციხისძირის ეკოლოგიაზე უარყოფითად არ აისახება, მაშინ ეს საპროტესტო კამპანია კიდევ უფრო უცნაურად გამოიყურება.

ჩნდება ლოგიკური ეჭვი, რომ აქ ვილაცები ან უბრალოდ პოლიტიკური ქულების დაწერას ცდილობენ, ან რაღაც სხვა ინტერესი აქვთ, შესაძლებელია, ამ ორი კომპონენტის ერთობლიობასთანაც გვქონდეს საქმე.

ამ ეჭვს სავარაუდოდ რეალური საფუძველი აქვს.

კომპანია „ზიმოს“ ხელმძღვანელი ზურაბ კიკნაძე აცხადებს, რომ მას სამუშაოების წარმოებისთვის ყველანაირი საბუთი აქვს, ერთის გარდა, რომელიც მიწის კერძო მესაკუთრისგან უნდა მიეღო.

— აჭარის მთავრობისგან ხეების შეძენის დოკუმენტი მაქვს. რკინიგზის დეპარტამენტისგან მაქვს ნებართვა, რომ ამ ლიანდაგის იქით გადავიტან ხეებს. გზების დეპარტამენტი აკონტროლებს ზღვასთან მისვლის საკითხს და მათგან მაქვს უფლება, რომ ეს სამუშაოები შევასრულო.

ერთადერთი, რაც არ მაქვს, ეს არის რკინიგზის მახლობლად მდებარე მიწის ნაკვეთზე ტვირთის გატარების კერძო მესაკუთრისგან ნებართვა, რადგან ტერიტორიის მფლობელი საქართველოს მოქალაქე არ არის. მისი კომპანია დარეგისტრირებულია ოფშორულ ზონაში, პანამაში და მეპატრონეს ვერ ვპოულობთ. ლიანდაგიდან ზღვის სანაპირომდე ტერიტორია ამ პირს ეკუთვნის, — აღნიშნავს ზურაბ კიკნაძე.

საინტერესოა, ვისია ეს ტერიტორია და, ატეხილი აჟიოტაჟის მიუხედავად, როგორ ვერ მოხერხდა ერთი მიწის მესაკუთრის პოვნა, რომლის გავლითაც უბრალოდ გადასარგავი ხის ერთჯერადი ტრანსპორტირება უნდა მოხდეს.

ჩნდება კითხვა — ნუთუ მხოლოდ ამ დოკუმენტის არქონა იყო საპროტესტო აქციების მიზეზი?

და რაოდენ დაუჯერებელიც არ უნდა იყოს, დიახ, საქმე სწორედ ამ დოკუმენტში, უფრო სწორად, სავარაუდოდ, ამ დოკუმენტის უკან მდგომი მაქინაციური სქემის გაშიფვრაშია.

კერძოდ, შპს „ზიმოს“ მიერ შესყიდული ხეების ტრანსპორტირების ერთადერთი შესაძლო მარშრუტი გადის კერძო საკუთრებაზე 90.000 კვ/მ ნაკვეთზე, რომელიც მიხეილ სააკაშვილის მიერ 2011 წლის 3 აგვისტოს გაცემული განკარგულების საფუძველზე, გაურკვეველ, ოფშორში დარეგისტრირებულ კომპანია REDMAD FEDERATION INC -ს 1 ლარად გადაეცა.

დოკუმენტებში არ ჩანს არც ამ კომპანიის წარმომადგენელი, არც ხელმომწერი მხარე და საერთოდ არცერთი საკონტაქტო პირი, ვისთანაც შესაძლოა რაიმე სამართლებრივი ურთიერთობა დამყარდეს.

სავარაუდოდ, სწორედ 1 ლარად გაცემული 9 ჰექტარი მიწის მაქინაცია ადარდებს ნაციონალურ მოძრაობას და სწორედ ამ ფაქტის გახმაურების შიშით ატეხეს სკანდალი ხეების გადატანაზე, რადგან გადატანის შემთხვევაში აუცილებლად გაიშიფრებოდა სახელმწიფო ქონების მიტაცების ეს სკანდალური ფაქტი.

ციხისძირის ტერიტორიაზე, ზღვის მიმდებარე ზოლში კვადრატული მიწის ფასი სავარაუდოდ რამდენიმე ათეული დოლარია, შესაბამისად, მიხეილ სააკაშვილის ამ განკარგულებით სახელმწიფოს რამდენიმე ათეული მილიონი ლარის ზარალი მიადგა.

და ეს ყველაფერი გაფორმდა ყოველგვარი საინვესტიციო პირობების გარეშე, პირდაპირი ჩუქების წესით და თანაც ისე, რომ ამის შესახებ მხოლოდ დღეს გახდა ცნობილი.

სავარაუდოდ, ეს ათეულობით მილიონი ლარის ქონება და სკანდალური დოკუმენტების გამოკვლევის შიში ამოძრავებდა გივი თარგამაძეს და ნაციონალურ მოძრაობას, როცა 3 ხის გამო ხმაურს ტეხდნენ და არც ციხისძირში ჩასვლა დაეზარათ.

ვინ იცის, იქნებ ეს რომელიმე მათგანისთვის მათი გუნდის ლიდერის მხრიდან გაკეთებული პირადი საჩუქარიც იყო, ან უბრალოდ ლიდერის პირად ქონებას უფრთხილდებოდნენ. ფაქტი ერთია, ნაციონალურ მოძრაობას არასდროს ადარდებდა ეკოლოგიის და ხეების ბედი და ამ 3 ხის გამო მათი ლიდერის, ყოფილი პრეზიდენტის, დანაშაულებრივი ქმედება გაიშიფრა.

რაც შეეხება იმ რამდენიმე გარემოს დაცვითი ორგანიზაციის წარმომადგენელს, მათ მოუწევთ იმ აზრთან შეგუება, რომ შეცდომაში იყვნენ შეყვანილები და კვლავ პირადი ინტერესებისთვის გამოიყენეს ნაციონალური მოძრაობის წევრებმა.

# ვინ იბრალებს პოლიტიკურ დევნილობას?

მარიამ მჭედლიშვილი

**ევროპაში თავშესაფრის საძებნელად ევროპის სახელმწიფოებში საქართველოს ბევრი მოქალაქე ჩასულა. ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღებით, სავარაუდოდ, შემცირდა თავშესაფრის მაძიებელთა ის კატეგორია, რომელიც ეკუთვნოდა სექსუალურ უმცირესობას ან ასეთად თავს ასაღებდა.**

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის დამფუძნებელი და ყოფილი თავმჯდომარე მირიან მირიანაშვილი „ახალ თაობასთან“ საუბრობს დევნილების ახალ ტალღაზე. ეს ადამიანები ევროპაში ცდილობენ იმის დამტკიცებას, თითქოს საქართველოს ხელისუფლება მათ პოლიტიკურად დევნის.



## მირიან მირიანაშვილი: „ნაცმოძრაობამ მოიფიქრა საქართველოს ხელისუფლების დისკრედიტაციის ახალი მეთოდი“

**მირიან მირიანაშვილი:**

– გერმანიისა და საფრანგეთის სასამართლოები იხილავენ მრავალრიცხოვან საქმეებს. ისინი ეხება თავშესაფრის მაძიებელ საქართველოს მოქალაქეებს. ეს პირები აცხადებენ, თითქოს საქართველოში იდევნებიან, როგორც ოპოზიციის, ანუ ნაცმოძრაობის წარმომადგენლები. არადა, ეს პირები პარტიის წევრები არასდროს ყოფილან.

***– ანუ ეს ადამიანები თავშესაფრის მისაღებად ტყუილს არ ერიდებიან?***

– ამ მაქინაციაში მარტო ისინი არ მონაწილეობენ. ნაცმოძრაობის ოფისები მათ დიდი ენთუზიაზმით აძლევენ პარტიის წევრის მოწმობას. ამ საქმისთვის შეიქმნა შუამავლების სამსახურიც. ეს ბინძური საქმე ბიზნესადაც იქცა და ხელისუფლების საწინააღმდეგო მოქმედებადაც. ნაცმოძრაობამ მოიფიქრა ხელისუფლების დისკრედიტაციის ახალი მეთოდი.

***– უნდათ, ევროსტრუქტურები დაარწმუნონ, რომ საქართველოში უამრავი ოპოზიციონერის დევნა-შევიწროება ხდება?***

– ნაცმოძრაობას ისედაც არ აკლია ლობისტები უცხოეთში. მათი დახმარებით „ქართულ ოცნებაზე“ არ იქმნება კარგი შთაბეჭდილება. განსაკუთრებით, იმ პირობებში, როცა მმართველი კოალიცია თავის სათქმელს ვერ ამბობს და როცა მართალია, თავს მაშინაც ვერ იცავს. ამას რომ დაემატება ათასობით პოლიტიკურად ვითომ დევნილი, რა უნდა იფიქრონ საქართველოს ხელისუფლებაზე? ეს ყველაფერი აისახება „ქართული ოცნების“ იმიჯზე.

***– ევროპაში პოლიტიკური თავშესაფარი ადრეც მოუთხოვიათ ჩვენს მოქალაქეებს.***

– რასაკვირველია. ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობის შემდეგ წასულების პირველ ტალღას ნამდვილად პოლიტიკური დევნილები შეადგენდნენ. ამას მოჰყვა იმათი ჩასვლა, ვინც ზვიადისტობას და დევნილობას იბრალებდა. იყვნენ სხვა კატეგორიის მოქალაქეებიც. მაგალითად, ისეთები, რომლებიც ტყუილად იფიცებოდნენ, რომ ჰომოსექსუალები არიან. ევროპაში სასამართლოს სხდომებზე პარტნიორებიც კი მიჰყავდათ. სააკაშვილის რეჟიმის დროს ნამდვილად იდევნებოდნენ ადამიანები. პოლიტიკური მოტივებით დევნილებმაც იპოვეს ევროპაში თავშესაფარი. საგანგაშოა ის, რასაც ნაცმოძრაობა ახლა აკეთებს.

***– ევროპაში სამუშაოს საძებნელადაც ბევრი ჩადის.***

– რა თქმა უნდა. ამით დემოგრაფიული მდგომარეობა უარესდება. მაგალითად, ოფიციალური სტატისტიკით, 5 თვეში საქართველო დატოვა 36.000-მა ადამიანმა. სამწუხაროდ, ხელისუფლება ამაზე ხმას არ იღებს. წინა წლების პოლიტიკური სისტემა საერთოდ მოერგო ამ ვითარებას. სააკაშვილის დროს ქაღალდზე 700.000 ემიგრანტი იღებდა არჩევნებში მონაწილეობას.

***– ნაცმოძრაობა ირწმუნება, რომ შემოდგომაზე ხელისუფლებაში დაბრუნდება.***

– ყოველთვის ვამბობდი, რომ სააკაშვილი არ ჩამოსცილებია ამ პარტიას და რომ მას ხელისუფლებაში დაბრუნება უნდა. ნაცმოძრაობა რომ აქამდე არ დაიშალა, ამის მთავარი მიზეზი კომპრომატებია. სააკაშვილი ამ საქმეში დიდი ხნის წინ გაიწაფა. ის და მერაბიშვილი კომპრომატების შეგროვებით 1997 წლიდან დაკავდნენ. როცა ჩემ მიერ დაარსებული ნაციონალური მოძრაობა ჩაიგდეს ხელში, მაშინ კომპრომატებზე ნადირობა ახალი ძალით გააგრძელეს.

სააკაშვილის მომავალი ზრახვები უკავშირდება 2016 წლის არჩევნების შემდგომ პერიოდს. სააკაშვილმა და სხვებმა 2003 წელსაც გააპროტესტეს არჩევნების შედეგები და მერე მოვიდნენ ხელისუფლებაში. ახლაც უნდათ იმ სცენარის გამეორება სხვადასხვა ვარიაციით. საუბედუროდ, ამ მეთოდოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლის ხერხი არ არსებობს. ამიტომ, 2003 წლის მეთოდი ძალაშია.

***– თქვენ ამბობდით, ნაციონალებს არჩევნებში მონაწილეობას არ მივაღებინებო.***

– ეს ახლაც შემიძლია გავიმეორო. თუ პოლიტიკაში ყოფნა უნდათ, სხვაგან გადაბარგდნენ. ჩვენ სამართლებრივ ბრძოლას ვაგრძელებთ. სამართლიანობას აღვადგენთ და ერთიანი ნაციონალური მოძრაობა კანონიერ დამფუძნებლებს დაგვიბრუნდება.

# გია ჟორჟოლიანი: „მაჟორიტარულ სისტემას არ შევცვლით“

## „ოპოზიციამ ილაპარაკოს, რამდენიც უნდა“

გულიკო ბალაძე

**საქართველოში ვენეციის კომისიის დელეგაციაა ჩამოსული, რომელიც შეხვდა როგორც ხელისუფლების, ისე ოპოზიციის წარმომადგენლებს.**

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი გია ჟორჟოლიანი აცხადებს, რომ ვენეციის კომისია განიხილავს ცვლილებებს კანონმდებლობაში, რამაც უზრუნველყო მაჟორიტარული ოლქების გათანაბრება და 50%-იანი ბარიერის შემოღება. კომისია ამ კანონების თაობაზე თავის დასკვნას გამოაქვეყნებს.

***– ოპოზიცია ამბობს, რომ თქვენ არ აცნობეთ კომისიას, რაზეც მათ პრეტენზია აქვთ.***

– ვენეციის კომისია ჩვენ მიერ მიღებულ კანონპროექტებს განიხილავს. რას ჰქვია, არ ვაცნობე სხვა საკითხებზე.

***– ოპოზიცია მაჟორიტარული წესით არჩევნების ჩატარების გაუქმებას ითხოვს.***

– კომისია ამას არ განიხილავს. რა თქმა უნდა, ამის თაობაზე ოპოზიციას შეიძლება ჰქონდეს პრეტენზია.

***– ვენეციის კომისიის დელეგაციას შენიშვნები თუ აქვს თქვენს მიღებულ კანონებზე?***

– არა, შენიშვნები არ ყოფილა. მათ დეტალურად უნდა განიხილონ ჩვენი წარდგენილი კანონპროექტები. მე მგონია, რომ დიდი შენიშვნები არ იქნება.

***– როგორ გავიგოთ ოპოზიციონერთა პრეტენზიები?***

– ოპოზიცია ამბობს, რომ ახლავე მივიღოთ მაჟორიტარული სისტემის გაუქმების გადაწყვეტილება. მაჟორიტარული სისტემის გაუქმებაზე ჩვენ თანახმა არ ვართ, რამდენიც უნდა ილაპარაკონ ერთი და იგივე მუდმივად, ლაპარაკს აზრიც აღარ აქვს.

***– არავითარი ცვლილება არ იქნება საარჩევნო კოდექსში გარდა იმისა, რაც თქვენ უკვე განახორციელეთ?***

– საარჩევნო კოდექსის ცვლილებაზე ლაპარაკი აღარ არის. ეგენი მოითხოვენ, რომ მაჟორიტარული სისტემა გაუქმდეს. ჩვენ ვამბობთ, რომ პროპორციული არჩევნები 2016 წლის შემდგომ არჩევნებზე იქნება. ეს არის საკონსტიტუციო ცვლილება. ერთი ან მეორე პარლამენტმა უნდა მიიღოს. როგორც პარლამენტი მიიღებს, ისე იქნება.

***– მაშინ რის იმედი აქვთ ოპოზიციონერებს, გამუდმებით ამაზე რომ საუბრობენ?***

– ეს მათ ჰკითხეთ.

***– ვინც ჩვენთან ჩამოდის და ევროპაში ჩვენი მაღალჩინოსნების ვიზიტების დროსაც, ყველა ამბობს, რომ არჩევნები დემოკრატიულად უნდა ჩატარდეს. „ქართული ოცნება“ არჩევნების დემოკრატიულად ჩატარების გარანტი არის?***

– რა თქმა უნდა. ყველა არჩევნები დემოკრატიულად და მაღალ დონეზე ჩატარდა. მომავალი არჩევნებიც ასე ჩატარდება.

***– მაჟორიტარული სისტემა რით არის არადემოკრატიული?***

– მაჟორიტარული არჩევნები არაფრით არ არის არადემოკრატიული, ამერიკის შეერთებულ შტატებში, საფრანგეთში და უამრავ ქვეყანაში მაჟორიტარული არჩევნები ტარდება. არავინ ამბობს, რომ არადემოკრატიული არჩევნებია.

***– მაშინ რატომ უნდა ჰქონდეთ ამოჩემებული ჩვენს ოპოზიციონერებს მაჟორიტარული სისტემის შეცვლის აუცილებლობა?***

– ოპოზიციას იმიტომ აქვს ამოჩემებული მაჟორიტარული სისტემის შეცვლა, რომ ჰგონიათ, სხვა სისტემა მათთვის ხელსაყრელი იქნება. მათ ეს ცვლილება უნდათ არა დემოკრატიის თვალსაზრისით, არამედ მათი კერძო ინტერესებიდან გამომდინარე.

***– ხელისუფლება მზად არ არის, რომ 2016 წლისთვის შეცვალოს საარჩევნო კანონი თუ სხვა მიზეზია?***

– ხელისუფლება მზად არ არის კი არა, მიგვაჩნია, რომ აღნიშნული ცვლილება უნდა განხორციელდეს 2016 წლის შემდეგ. ეს არის ჩვენი პოზიცია.

***– 2016 წელს არჩევნები პროპორციული სისტემით რომ ჩატარებულიყო, რით იქნებოდა მოუმზადებელი?***

– კიდევ ერთხელ ვამბობ – ჩვენ ასე გადავწყვიტეთ. რატომ ახლა არა? იმიტომ, რომ ასე მიგვაჩნია.

***– ვენეციის კომისიის წარმომადგენელი აცხადებს, რომ მათ არ აშფოთებთ პროპორციული ან მაჟორიტარული წესის ცვლილება.***

– ძალიან კარგი თუ არ აშფოთებთ.

***– როგორ ფიქრობთ, ვენეციის კომისიის დელეგაცია რა შთაბეჭდილებით წავა საქართველოდან?***

– 12-13 მარტს ჩაატარებენ თავის სხდომას, შემდეგ გამოაგზავნიან რეკომენდაციებს. ვენეციის კომისია არავითარ შემთხვევაში არ იტყვის, რომ მაჟორიტარული არჩევნები არის არადემოკრატიული.

***– ხალხის განწყობა თქვენთვის ცნობილია?***

– ჩემი აზრით, ჩვენი მოქალაქეების უმეტესი ნაწილი მაჟორიტარულ არჩევნებს ემხრობა.




# გედევან ფოფხაძე: „რაფალიანცის მკვლელობაში არც ღვინიაშვილის დადანაშაულებაა სწორი და არც ბერიკაშვილის“



საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, დეპუტატი გედევან ფოფხაძე მიიჩნევს, რომ ბარბარე რაფალიანცის საქმეში პოლიტიკური ნაწილი უნდა მოიხსნას.

ამის შესახებ გედევან ფოფხაძემ ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის სხდომაზე განაცხადა.

გედევან ფოფხაძე:

– რაფალიანცის საქმესთან მიმართებაში მე ნამდვილად ბოდიში მოვიხადე და მიმაჩნია, რომ ამ თემის პოლიტიზირება არასწორია და არანაირად არ არის მიზანშეწონილი.

როგორც ღვინიაშვილთან მიმართებაში დაუშვებელია რომ რაიმე ფორმით, თუნდაც არაპირდაპირ ვადანაშაულებდეთ, ისე, არასწორია თუ მანანა ბერიკაშვილზეც ვინმე რამეს ამბობს. ამ საქმეში ჩემთვის მთავარია, პოლიტიკური ნაწილი მოიხსნას.

გედევან ფოფხაძეს კომიტეტის სხდომაზევე უპასუხა „ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა, დეპუტატმა ნუგზარ წიკლაურმა, რომელმაც აღნიშნა, რომ „ნაციონალურ მოძრაობასაც“ არ სურს ამ თემის პოლიტიზირება.

**ნუგზარ წიკლაური:**

– გეთანხმებით, არავის არაფერში არ არგებს ამ თემის პოლიტიზირება, მაგრამ ერთადერთი, რაც სპეკულაციებს უწყობს ხელს, ეს არის ამ საქმის გამოუძიებლობა. ერთის მხრივ პარლამენტი ამბობს, რომ ჩვენ არ გვჭირდება საგამოძიებო კომისია, მეორეს მხრივ არის ვითარება, როდესაც პროკურატურა არ იძიებს ამ საქმეს, მესამე – არის ის გარემოება, რომ მოხდა საზარელი მკვლელობა უმანკო ადამიანის.

გარწმუნებთ, რომ ყოველთვის მოიძებნებიან ულირსი ადამიანები, რომლებიც შეეცდებიან ამ საკითხზე პოლიტიკური ქულების დაგროვებას.

მე მართლა არ განვეკუთვნები იმ ხალხს, რომლებიც ამ თემაზე ცდილობს ხელის მოთბობას, მაგრამ ფაქტია, რომ ხალხი ითხოვს პასუხს, ჩვენ ვითხოვთ პასუხს და 4 წელია გასული ამ მკვლელობიდან.

**ინტერპრესნიუსი**

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

# თურქეთი სირიელ ქურთებზე დარტყმებს განაგრძობს

## სტამბოლში ქურთების დემონსტრაცია დაარბიეს


© picture alliance / dpa / M. Tö

თურქეთი სირიელი ქურთების პოზიციებზე დარტყმებს განაგრძობს. ქურთებს შორის არის მსხვერპლი. თურქეთის პრემიერ-მინისტრმა დავუთოღლუმ განაცხადა, რომ ქურთებზე სამხედრო ზეწოლა გაძლიერდება.

— „ქურთების სახალხო თავდაცვა“ ტერორისტული ორგანიზაციაა, ამიტომ ჩვენს საზღვართან მის გაძლიერებას არ დავუშვებთ, — აცხადებს დავუთოღლუ.

თურქეთის ტერიტორიიდან სირიაში მებრძოლებით დატვირთული რამდენიმე სატვირთო მანქანა გადავიდა.

დიქტატორმა ასადმა აღნიშნა, რომ მანქანებში თურქეთის რეგულარული არმიის ჯარისკაცებიც ისხდნენ. მან თურქეთი აგრესიაში დაადანაშაულა. ირანმა, თავის მხრივ, გააფრთხილა თურქეთი და საუდის არაბეთი, რომ სირიის წინააღმდეგ აგრესიას თეირანიდან საკადრისი სასჯელი მოჰყვება. საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ასევე მიმართა თურქეთს და მოუწოდა, ძალისმიერი მოქმედებებისგან თავი შეიკავოს.

ოფიციალური ანკარა ქურთებს ტერორისტებად მიიჩნევს. ვაშინგტონი ამას არ ეთანხმება. იქ თვლიან, რომ ქურთები შესაძლოა ფასდაუდებელი მოკავშირენი გახდნენ ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლაში.

ამასობაში სტამბოლში თურქეთის პოლიციამ ქურთი აქტივისტების დემონსტრაცია დაარბია.

ისინი გამოთქვამდნენ პროტესტს სირიაში თურქეთის არმიის შესვლისა და თურქი ჯარისკაცების მიერ ქურთების პოზიციებისთვის ცეცხლის გახსნის გამო.

თურქეთის პოლიციამ დემონსტრანტების წინააღმდეგ ცრემლმდენი გაზი გამოიყენა. პოლიციასთან შეტაკებისას 2 დემონსტრანტი დაშავდა. 10 აქტივისტი დაკავებულია.



# ინდოეთში წმინდა ვალენტინის დღის აღნიშვნა გააპროტესტეს



ინდოეთში წმინდა ვალენტინის დღე აღნიშნეს. ახალგაზრდა წყვილები მოდურ რესტორნებში იკრიბებოდნენ, ცეკვავდნენ და ერთმანეთს კოცნიდნენ.

ინდოელმა ტრადიციონალისტებმა წმინდა ვალენტინის დღის აღნიშვნა გააპროტესტეს.

— ეს ჩვენი დღესასწაული არაა, — ამბობდნენ ისინი.

პროტესტის ფორმა ფრიად ორიგინალური გახლდათ. დელის ქუჩებში 400-მდე ინდოელი ტრადიციონალისტი გამოვიდა. მათ მოჰყავდათ მისაბმელით ძაღლები, რომელთაც დემონსტრატიულად კოცნიდნენ.

— ესეც თქვენი წმინდა ვალენტინის დღე, — აცხადებდნენ ისინი.




# რუსეთი უკრაინის საზღვართან ახალ საარმიო კორპუსს ქმნის

უკრაინის უშიშროების სამსახურის შეფმა, გენერალმა გრიცაკმა განაცხადა, რომ როსტოვის ოლქში, რუსეთის ტერიტორიაზე, იქმნება ძირითადად უკრაინის მოქალაქეებით დაკომპლექტებული საარმიო კორპუსი. უკვე დანიშნულია ამ კორპუსის მეთაური რუსეთის მოქალაქე.

გრიცაკმა განაცხადა, რომ დონბასში კარგა ხანია ორი საარმიო კორპუსია შექმნილი. რუსეთის ტერიტორიაზე ახალი საარმიო კორპუსის შექმნა მიუთითებს იმაზე, რომ მოსკოვი უკრაინის წინააღმდეგ ახალ მტრულ აქციებს ამზადებს.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# ესპანელი სამსახურის გაცდენებისთვის 30 ათასი დოლარით დააჯარიმეს



ესპანელი სახელმწიფო მოსამსახურე ხოაკინ გარსია 30 ათასი დოლარით დააჯარიმეს იმის გამო, რომ ის ექვსი წლის მანძილზე სამსახურს აცდენდა.

მამაკაცის სამსახურში არ ყოფნა მხოლოდ მაშინ შენიშნეს, როდესაც მისთვის 20 წლიანი მუშაობისთვის საჩუქრის გადაცემა დააპირეს. გარსია სუპერვაიზერად მუშაობდა წყლის გამწმენდ საწარმოში. 69 წლის მამაკაცი გამცდენად საკუთარი თავის აღიარებაზე უარს აცხადებდა და ამტკიცებდა, რომ ის ამ დაწესებულებაში მისი ოჯახის წევრების პოლიტიკური შეხედულებების გამო გაამწესეს (ადრე სად მუშაობდა, უცნობია).

კომპანია, რომელიც ქალაქ კადისის ხელისუფლების მმართველობაშია, გარსიას წელიწადში 37 ათას ევროს უხდიდა. ჯარიმის ოდენობა მამაკაცის წლიურ შემოსავალს უტოლდება გადასახადების გამოკლებით და ეს მაქსიმალური თანხაა, რომელიც ქალაქის ხელისუფლებას შეეძლო მოეთხოვა კანონმდებლობის მიხედვით.



# ბრიტანელმა შეყვარებულს ხელი ჟურნალიდან სთხოვა

ბრიტანელმა მამაკაცმა თავის შეყვარებულს წმინდა ვალენტინის დღეს ჟურნალ ობსერვერის გარეკანზე გამოქვეყნებული საკუთარი სურათის დახმარებით ხელი სთხოვა. ფოტოსურათზე ჯეიმს კრეიგი ცალ მუხლზე დაჩოქილი დგას, ხელში კი კოლოფი უჭირავს, რომელშიც ბეჭედი მოჩანს. სურათის გვერდით კი დაბეჭდილია სიტყვები: „გამომყვები ცოლად, კეტი?“

სტატიაში ნათქვამია, რომ წყვილი ამჟამად ქალაქგარეთ მდებარე სასტუმროში იმყოფება. ჟურნალის რედაქციამ განაცხადა, რომ მკითხველს აუცილებლად შეატყობინებს კეტი მურის რეაქციას, როგორც კი ამის შესახებ ინფორმაციას მიიღებენ.

მოგვიანებით ჟურნალ ობსერვერის ტვიტერში გაჩნდა ჩანაწერი: „კეტიმ თანხმობა განაცხადა!“

აღსანიშნავია, რომ წყვილმა ერთმანეთი ნიუ-იორკში მეგობრების წრეში გაიცნეს. ისინი ერთმანეთს შეძლებისდაგვარად ხვდებოდნენ, ვინაიდან კეტი აშშ-ს აღმოსავლეთ სანაპიროზე ცხოვრობს, ხოლო კრეიგი — ლონდონში.

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან
მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154.
„მწვანე ოფისი“.




# სლოვენიის ქალაქში ლუდის შადრევანს დადგამენ

სლოვენიის ქალაქ ჟალეცში განთავსდება საზოგადოებრივი ლუდის შადრევანი. ქალაქის ხელისუფლება ასეთი საშუალებით აპირებს ტურისტების მოზიდვას. ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა მას „ეშმაკურ გეგმას“ უწოდებს.

— აი, რას ვუწოდებთ ჩვენს ტურისტულ ღირსშესანიშნაობას, — წერს სლოვენიური გამოცემა.

აღსანიშნავია, რომ ეს ევროპაში პირველი ლუდის შადრევანი იქნება. მისი შემუშავება 2013 წელს დაიწყო, თუმცა მისი გახსნის თარიღი ჯერჯერობით უცნობია.

გეგმის თანახმად, შადრევანი პარკში განთავსდება. ტურისტებს ლუდის დაგემოვნებას შესთავაზებენ, რომელიც ადგილზე იქნება დამზადებული.

ქალაქის ბიუჯეტს ლუდის შადრევნის დადგმა დაახლოვებით 350 ათასი ევრო დაუჯდება. ჟალეცში, რომელიც მდინარე სავინის დაბლობზე მდებარეობს, დაახლოებით 4,8 ათასი ადამიანი ცხოვრობს. დაბლობი ასევე ცნობილია „მწვანე ოქროს დაბლობის“ სახელით.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# განცხადებები

**მკურნალობა**

● ანტითამბაქო — მცენარეული, გარანტირებულად უსაფრთხო შედეგიანი პარასამკურნალო საშუალება, რომელიც დაგეხმარებათ თამბაქოზე თავის დანებებაში — ფიტოკომპანია „ედელვაისისგან“. ფასი 60-65 ლარი. შეგვიძლია ადგილზე მოწოდებაც და რეგიონებში გაგზავნაც მოთხოვნის შემთხვევაში. ტელ: 599-45-88-66; 555-45-13-45.

● „ალკოჰოლიზმი“, „პახმელია“, „ზაპოი“, ღვიძლის გაწმენდა ალკოჰოლური ტოქსინისაგან (შეგიძლიათ ფარულად საკვებში შერევა). თამბაქოს მწეველობის მიტოვება, ნერვული სტატუსის მოწესრიგება — მხოლოდ მცენარეული, უსაფრთხო პრეპარატებით, მაღალი შედეგებით 555-45-13-45 599-02-11-46. სულხანი.

● ალკოჰოლიზმისაგან გარანტირებული განკურნება მცენარეული, უსაფრთხო პრეპარატებით. ფერმენტ ალკოჰოლდეჰიდროგენეზის მიერ ხდება „პახმელიის“, თავის ტკივილის, თავბრუსხვევის, პირღებინების, ტრემორის (კანკალის), ტაქიკარდიის, ოფლიანობის, უძილობის, აგრესიულობისა და ალკოჰოლური დამოკიდებულების მოხსნა. შედეგები პირველივე დღიდან. შეგიძლიათ შეურიოთ ფარულად საკვებში. ტელ: 557-14-22-36; 597-92-07-05. ნინო ექიმი.

● 50 წლის პრაქტიკული და კლინიკური გამოცდილების ექიმი ვმკურნალობ კარგი შედეგით სექსუალურ უძლურებას, სასქესო ორგანოების დაავადებებს, სქესობრივი კავშირებით გადამდებ ყველა სნეულებას, უშვილობას მამაკაცებში. გვაქვს საიმედო „ერექტორები“. კონსულტაციები უფასოა. ტელ: 2-14-07-72; 593-60-60-44 ექიმი მერაბი.

● უძლიერესი ნათელმხილველი დარეჯანი — კმაყოფილი დარჩებით უმაღლეს დონეზე, აქვე მოიხსნით სხვადასხვა პრობლემას. მიღება შპს „იადიგარ დაუდის“ ოფისში. ტელ: 555-75-90-62.

● ნანა ქიბროწაშვილი — ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი. ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი, პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრები და ქმედებები, ეჭვიანობა, ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი, ოჯახური გაუგებრობა. მის: წერეთლის გამზირი №57, მე-2 სად. მე-2 სართ. ოფისი №7. ტელ: 599-49-84-23 ნანა. მიღება 12 საათიდან 15 საათამდე.

● გასახდომი ყავა!!! ხარისძირას სპეციალური ჯიშით გამდიდრებულ 3-კომპონენტიან ანტილიპიდურ კუპაჟს გააჩნია ანტიდიაბეტური თვისებები!!! მის: თამარ მეფის 27 (რკ.სადგურთან). ტელ: 577-52-88-41.

● მხოლოდ აქ! თამარ მეფის 27-ში. „პლანტა“ — ჩიყვი (კვანძოვან-კისტოზურიც!); „პლანტაგლანდა“ — ჩირქოვანი გლანდები, ხვრინვა, გრიპის პროფილაქტიკა; „პლანტა+“ — მასტოპათია (კვანძები!), პოლიკისტოზი, ფიბრომა, უნაყოფობა; „პლანტა-7“ — წყლული, ჰეპატიტი, პროსტატიტი, ადენომა, პოტენცია. ზემოთ აღნიშნულ სერთიფიცირებულ სიროფებს გააჩნიათ ანტისიმსივნური თვისებები! ტელ: 558-59-59-82.

● დაქვეითებული სმენის — ნევრიტის,ოტიტის, ოსტეოქონდროზის, კიდურების, კუნთების, სახსრების დაავადებების, რადიკულიტის, პროსტატიტის, ცისტიტის, ხშირი შარდვის, მასტიტის, საკვერცხეების ანთების, წითელი ქარის განკურნება უნიკალური ენერ-გეტიკული მეთოდით, ასაკის მიუხედავად. ეს ნამდვილია პრაქტიკულად გამოცდილი. მის.: აღმაშენებლის 93. პოლიკლინიკა. ტელ: 599-97-85-46 ლევანი - სერტიფიცირებული სახალხო მკურნალი.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით — სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

# შერმადინი და სანიკიძე უცხოეთში ყოჩაღობენ

## საკალათბურთო ლეგიონის ამბები

ესპანეთის საკალათბურთო ჩემპიონატში ისევ ყოჩაღობს გიორგი შერმადინი. ქართველი კალათბურთელის ანდორამ დასანანი მარცხი იწვნია გრან კანარიასთან – 77:79.

ანდორელებს ქართველმა კალათბურთელმა ულიდერა, რომელსაც ორივე გუნდის შემადგენლობაში საუკეთესო შედეგი ჰქონდა. შერმადინი ტრადიციულად სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე გატარებულ სულ რაღაც 18 წუთში ორივე გუნდის შემადგენლობაში ყველაზე მაღალი მარგი ქმედების კოეფიციენტი (25) დააგროვა. გიორგიმ ასპროცენტიანი სიზუსტით ისროლა – მისმა ოთხივე ორქულიანმა და შვიდივე საჯარიმომ მიზანს მიაღწია. მთლიანობაში შერმადინს 15 ქულა, 3 ჩაჭრა, 2 მოხსნა და 2 დაფარება მოუგროვდა.

ამ მარცხით ანდორა ესპანეთის უმაღლეს ლიგაში საპლეიოფო ზონიდან გავიდა. 9 მოგებითა და 11 წაგებით ანდორელები მე-9 ადგილზე არიან. მომდევნო ტური 28 თებერვალს გაიმართება და შერმადინის გუნდი სტუმრად ბილბაოს შეხვდება.

ესპანეთის მეორე ლიგაში მნიშვნელოვანი მატჩი მოიგო ბექა ბურჯანაძის ლეიმა ბასკეტმა. ლაკორუნიული გუნდი სტუმრად უშუალო კონკურენტს ხვდებოდა. ამ ტურამდე ბურჯანაძის გუნდი და ბურგოსელები ცხრილში გვერდი-გვერდ იყვნენ და მათ შორის გამარჯვებაც ორივესთვის დიდად ფასობდა.

დაძაბულ ორთაბრძოლაში ლაკორუნიელებმა 86:82 იმარჯვეს. ბურჯანაძე სასტარტო ხუთეულში არ ყოფილა. ის სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო თამაშში და გამარჯვებაში სოლიდური წილი დაიდო. ქართველმა ფორვარდმა 21 წუთში 12 ქულა, 9 მოხსნა, 2 ჩაჭრა და 1 პასი მიითვალა. ბექამ 7-დან 3 ორქულიანი და 7-დან 6 საჯარიმო ჩააგდო, 1 სამიანი კი ააცილა.

ლეიმა ბასკეტმა ამ მოგებით



ცხრილში მე-7 ადგილზე აინაცვლა. მორიგ მატჩს ლაკორუნიელები 21 თებერვალს შინ, კასტელოსთან გამართავენ.

თურქეთის ჩემპიონატში ვიქტორ სანიკიძის თედ კოლეჟლერისთვის ყოველი მატჩი, იგებს თუ აგებს, ბრძოლაში მიმდინარეობს. ანკარელებმა ამჯერადაც დაძაბულ ორთაბრძოლაში იესილგირესუნთან 90:87 წააგეს. სანიკიძე თავის გუნდში ერთ-ერთი საუკეთესო იყო. მას ორმაგ დუბლამდე 1 მოხსნა დააკლდა.

ქართველმა კალათბურთელმა მოედანზე გატარებულ 32 წუთში 15 ქულა, 9 მოხსნა, 2 პასი და 1 დაფარება მიითვალა. ქართველმა ფორვარდმა 3-დან 2 ორქულიანი, 5-დან 3 სამიანი და 5-დან 2 საჯარიმო ჩააგდო.

7 მოგებითა და 11 წაგებით თედ კოლეჯლერი მე-11 ადგილზე დაეშვა. მომდევნო ტური 28 თებერვალს გაიმართება. ერთმანეთს ვიქტორ სანიკიძისა და მანუჩარ მარკოიშვილის გუნდები – თედ კოლეჯლერი და დარუშაფაკა შეხვდებიან.

# დღეს ჩემპიონთა ლიგა მერვედფინალებით განახლდება

მერვედფინალებით განახლდება უეფას ჩემპიონთა ლიგა. 8 მატჩი გაწელილია – 2 მატჩი დღეს გაიმართება, 2 – ხვალ, ხოლო კიდევ 4 წყვილი შემდეგ კვირაში დაიწყებს ურთიერთობის გარკვევას.



**<u>პსჟ – ჩელსი</u>**

პარიზული და ლონდონური კლუბები ზედიზედ მესამედ „დაეტაკნენ" ერთმანეთს პლეი ოფში. ბოლო ორ შემთხვევაში გამარჯვებული სტუმრად გატანილმა გოლმა გამოავლინა.

პსჟ-სა და ჩელსის „ნაცნობობა" პირველად 2004 წელს შედგა. ჯგუფურ ეტაპზე პარიზში ჩელსიმ 3:0 მოიგო, ხოლო ლონდონური მატჩი უგოლოდ დასრულდა.

2014 წელს ნახევარფინალში ჩელსი გავიდა: პსჟ-მ შინ 3:1 მოიგო, მაგრამ საპასუხო მატჩი 2:0 დათმო და საშინაო მატჩში დავიდ ლუიზის ავტოგოლი მათთვის საბედისწერო გამოდგა.

2015 წელს ორივე მატჩი ფრედ დასრულდა – 1:1, ლონდონური მატჩის დამატებით დროში გუნდებმა კიდევ თითო გოლი გაიტანეს. ამჯერად სტუმრად გატანილმა ზედმეტმა გოლმა მეოთხედფინალში პსჟ გაიყვანა.

დავიდ ლუიზი ვახსენეთ და პსჟ-ში სწორედ ჩელსიდან გადავიდა, სადაც 3 წელზე ოდნავ მეტი დაჰყო და 81 პრემიერლიგურ მატჩში 6 გოლი გაიტანა. სტემფორ ბრიჯიდან გადავიდა პარკ დე პრენსზე ალექსიც. სხვადასხვა დროს ასევე ორი გუნდის შემადგენლობაში უთამაშიათ კლოდ მაკელელეს, ნიკოლა ანელკასა და მატეა კეჟმანს.

დღევანდელი მატჩისთვის ორივე გუნდს დანაკლისი აქვს – ტრავმების გამო ვერ ითამაშებენ სერჟ ორიე (პსჟ) და რადამელ ფალკაო (ჩელსი). ასევე საეჭვოა მარკო ვერატის, ხავიერ პასტორეს (ორივე პსჟ), რამირესისა და ჯონ ტერის (ორივე ჩელსი) თამაში.

მსაჯები ესპანელები არიან: მთავარი არბიტრი კარლოს ველასკო კარბალიუ, რომელსაც დაეხმარებიან რობერტო ალონსო და ხუან იუსტე. მეოთხე მსაჯი ანხელ ნევადო როდრიგესია, დამატებითი კი – ხესუს ხილ მანსანო და კალოს დელ სერო.

**სავარაუდო შემადგენლობები:**

**პსჟ:** ტრაპი, ვან დერ ვილი, ლუიზი, სილვა, მარკინიოსი, მატუიდი, მოტა, დი მარია, ლუკასი, კავანი, იბრაჰიმოვიჩი

**ჩელსი:** კურტუა, ივანოვიჩი, ზუმა, კეჰილი, ასპილიკუეტა, ფაბრეგასი, ოსკარი, ვილიანი, აზარი, პედრო, კოსტა

**<u>ბენფიკა – ზენიტი</u>**

მეოთხედფინალში ბენფიკას გზაზე ზენიტი გადაუდგა, რომელსაც პორტუგალიელი მწვრთნელი ჰყავს. დამრიგებლის გარდა, პეტერბურგელებს სამი ისეთი ფეხბურთელი ჰყავს, რომელთაც თავის დროზე ბენფიკაში უთამაშიათ.

რუსულ გუნდს დამატებით უპირატესობებიც აქვს: 4 მატჩი ჩაატარა ბენფიკას წინააღმდეგ და 3 შემთხვევაში გამარჯვებული გამოვიდა, ხოლო ერთი დათმო. საერთოდ ზენიტი კარგად თამაშობს პორტუგალიელთა წინააღმდეგ და აქამდე ჩატარებულ 13 მატჩში 8 მოგება, 3 ფრე და 2 წაგება აქვს.

ბენფიკას ლუიზაო დააკლდება, ზენიტს ვიაჩესლავ მალაფეევი, იგორ სმოლნიკოვი და ვიქტორ ფაიზულინი. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ზენიტი ისე გავიდა ჯგუფიდან მალაფეევისა და ფაიზული არ დახმარებია. კითხვის ნიშნის ქვეშ დგას ბენფიკელების – ლისანდრო ლოპესისა და ლუბომირ ფეისას თამაში. ასევე საეჭვოა მოედანზე გავიდეს პეტერბურგელი ალექსანდრ რიაზანცევი.

**ლისაბონში იტალიელი მსაჯები ჩავლენ:** ჯანლუკა როკი (მთავარი), ელენიტო დი ლიბერატორე, მაურო ტონოლინი (ასისტენტები), ანტონიო დამატო, კარმინე რუსო (დამატებითი), რიკარდო დი ფიორე (მეოთხე).

**სავარაუდო შემადგენლობები:**

**ბენფიკა:** ჟულიო სეზარი, ნელსონ სემედო, ანდრე ალმეიდა, ჟარდელი, ელისეუ, ნიკოლას გაიტანი, ანდრეას სამარისი, ბრაიან კრისტანტე, მეჰდი გონსალესი, კუედესი, ჟონასი

**ზენიტი:** ლოდიგინი, კრიშიტო, ლამბერტსი, გარაი, ნეტო, ვიტცელი, შატოვი, გარსია, დანი, ჰალკი, ძიუბა

# 6 ქართველ მოჭიდავეს დოპინგი აღმოაჩნდა

არასასიამოვნო ფაქტი მოხდა თავისუფალი სტილით ჭიდაობაში – 6 სპორტსმენს სისხლში აკრძალული პრეპარატი აღმოჩნდა.

დადებითი მხოლოდ ის არის, რომ ვისაც დოპინგი აღმოაჩნდა, პირველი ნაკრების წევრი არც ერთია. მათ შორის ოლიმპიადის ლიცენზიის მფლობელი არც ერთია. ასე რომ, უშუალოდ ნაკრებს ლიცენზიის ჩამორთმევის მხრივ არაფერი ემუქრება.

მოჭიდავეთა ვინაობა კონფიდენციალურია, თუმცა, როგორც კულუარულად ირკვევა, ორი საქართველოს ჩემპიონია, ერთმა მეორე ადგილი დაიკავა, ერთიც მესამეზე გავიდა.

ანტისადოპინგო სააგენტომ სინჯები საქართველოს თავისუფალი და ბერძნულ-



რომაული სტილით მოჭიდავეთა ბოლო ჩემპიონატის შემდეგ, ჭიდაობის ფედერაციის მიმართვით აიღო.

ავსტრიის ლიცენზირებულ ლაბორატორიაში 32 მოჭიდავის სინჯი იქნა გაგზავნილი. ჯერჯერობით, 28 სპორტსმენის შესახებ არის პასუხი მიღებული და 6 სინჯი დადებითი აღმოჩნდა.

სპორტსმენებს გასაჩივრების და ბ სინჯის ჩატარების უფლება აქვთ.

რაც შეეხება დისკვალიფიკაციას, საქართველოს ჭიდაობის ფედერაცია იგივე სასჯელს გამოიტანს, რასაც საერთაშორისო ფედერაცია გამოიტანდა. ერთადერთი შეღავათი ისაა, რომ ამ შემთხვევაში მოჭიდავეები საერთაშორისო ფედერაციის მიერ დაწესებულ ჯარიმებს არ გადაიხდიან.

## შედეგები

**14 თებერვალი**

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

არსენალი-ლესტერი ...................... 2:1
ასტონ ვილა-ლივერპული .............. 0:6
სიტი-ტოტენჰემი ........................... 1:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლესტერი | 26 | 15 | 8 | 3 | 48-29 | 53 |
| 2.ტოტენჰემი | 26 | 14 | 9 | 3 | 47-20 | 51 |
| 3.არსენალი | 26 | 15 | 6 | 5 | 41-23 | 51 |
| 4.სიტი | 26 | 14 | 5 | 7 | 48-28 | 47 |
| 5.მანჩესტერი | 26 | 11 | 8 | 7 | 33-24 | 41 |
| 6.საუთჰემპტონი | 26 | 11 | 7 | 8 | 34-24 | 40 |
| 7.ვესტ ჰემი | 26 | 10 | 10 | 6 | 40-31 | 40 |
| 8.ლივერპული | 26 | 10 | 8 | 8 | 38-36 | 38 |
| 9.უოტფორდი | 26 | 10 | 6 | 10 | 29-28 | 36 |
| 10.სტოკი | 26 | 10 | 6 | 10 | 27-32 | 36 |
| 11.ევერტონი | 26 | 8 | 11 | 7 | 46-35 | 35 |
| 12.ჩელსი | 26 | 8 | 9 | 9 | 38-36 | 33 |
| 13.კრ.პალასი | 26 | 9 | 5 | 12 | 27-32 | 32 |
| 14.ვესტ ბრომვიჩი | 26 | 8 | 8 | 10 | 24-32 | 32 |
| 15.ბორნმუთი | 26 | 7 | 7 | 12 | 30-44 | 28 |
| 16.სუონსი | 26 | 6 | 9 | 11 | 24-34 | 27 |
| 17.ნორვიჩი | 26 | 6 | 6 | 14 | 30-50 | 24 |
| 18.ნიუკასლი | 26 | 6 | 6 | 14 | 27-49 | 24 |
| 19.სანდერლენდი | 26 | 6 | 5 | 15 | 32-50 | 23 |
| 20.ასტონ ვილა | 26 | 3 | 7 | 16 | 20-46 | 16 |

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

სოსიედადი-გრანადა ...................... 3:0
სევილია-ლას პალმასი .................... 2:0
ეიბარი-ლევანტე ............................. 2:0
ხეტაფე-ატლეტიკო ........................ 0:1
ბარსელონა-სელტა ......................... 6:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 23 | 18 | 3 | 2 | 62-18 | 57 |
| 2.ატლეტიკო | 24 | 17 | 3 | 4 | 35-11 | 54 |
| 3.რეალი | 24 | 16 | 5 | 3 | 70-23 | 53 |
| 4.ვილიარეალი | 24 | 14 | 6 | 4 | 30-18 | 48 |
| 5.სევილია | 24 | 11 | 7 | 6 | 34-24 | 40 |
| 6.ეიბარი | 24 | 10 | 6 | 8 | 38-31 | 36 |
| 7.ბილბაო | 24 | 10 | 5 | 9 | 35-34 | 35 |
| 8.სელტა | 24 | 10 | 5 | 9 | 35-42 | 35 |
| 9.დეპორტივო | 24 | 6 | 14 | 4 | 33-30 | 32 |
| 10.სოსიედადი | 24 | 8 | 6 | 10 | 34-34 | 30 |
| 11.მალაგა | 24 | 8 | 6 | 10 | 21-21 | 30 |
| 12.ვალენსია | 24 | 6 | 10 | 8 | 28-25 | 28 |
| 13.ხეტაფე | 24 | 7 | 5 | 12 | 26-36 | 26 |
| 14.ბეტისი | 24 | 6 | 8 | 10 | 18-33 | 26 |
| 15.რაიო | 24 | 6 | 6 | 12 | 32-49 | 24 |
| 16.ხიხონი | 23 | 6 | 5 | 12 | 26-38 | 23 |
| 17.ესპანიოლი | 24 | 6 | 4 | 14 | 21-48 | 22 |
| 18.ლას პალმასი | 24 | 5 | 6 | 13 | 23-38 | 21 |
| 19.გრანადა | 24 | 5 | 5 | 14 | 25-49 | 20 |
| 20.ლევანტე | 24 | 4 | 5 | 15 | 21-45 | 17 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

კორდობა-სარაგოსა ....................... 0:2
ლეგანესი-ოსასუნა ........................ 2:0
ლიაგოსტერა-ალბასეტე ................. 2:0
ოვიედო-ტენერიფე ........................ 1:0
უესკა-ხირონა ................................ 0:1
ნუმანსია-მალიორკა ....................... 2:0

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ჰამბურგი-გლადბახი ...................... 3:2
აუგსბურგი-ბაიერნი ....................... 1:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 21 | 18 | 2 | 1 | 53-10 | 56 |
| 2.დორტმუნდი | 21 | 15 | 3 | 3 | 53-24 | 48 |
| 3.ლევერკუზენი | 21 | 10 | 5 | 6 | 31-22 | 35 |
| 4.ჰერტა | 21 | 10 | 5 | 6 | 29-23 | 35 |
| 5.შალკე | 21 | 10 | 3 | 8 | 30-28 | 33 |
| 6.მაინცი | 21 | 10 | 3 | 8 | 27-25 | 33 |
| 7.გლადბახი | 21 | 10 | 2 | 9 | 42-38 | 32 |
| 8.ვოლფსბურგი | 21 | 8 | 6 | 7 | 31-28 | 30 |
| 9.კიოლნი | 21 | 7 | 8 | 6 | 24-27 | 29 |
| 10.შტუტგარტი | 21 | 8 | 3 | 10 | 33-41 | 27 |
| 11.ჰამბურგი | 21 | 7 | 5 | 9 | 25-30 | 26 |
| 12.ინგოლშტადტი | 21 | 7 | 5 | 9 | 14-23 | 26 |
| 13.დარმშტადტი | 21 | 6 | 6 | 9 | 22-31 | 24 |
| 14.აუგსბურგი | 21 | 5 | 6 | 10 | 23-31 | 21 |
| 15.აინტრახტი | 21 | 5 | 6 | 10 | 27-37 | 21 |
| 16.ვერდერი | 21 | 5 | 5 | 11 | 25-42 | 20 |
| 17.ჰოფენჰაიმი | 21 | 2 | 9 | 10 | 19-31 | 15 |
| 18.ჰანოვერი | 21 | 4 | 2 | 15 | 19-36 | 14 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ბრაუნშვაიგი-არმინია .................... 1:0
უნიონი-მიუნხენ 1860 .................... 3:0
ფრაიბურგი-ფორტუნა .................... 1:2

**იტალია. სერია ა**

მილანი-ჯენოა ................................ 2:1
სამპდორია-ატალანტა ................... 0:0
უდინეზე-ბოლონია ......................... 0:1
პალერმო-ტორინო ......................... 1:3
ფიორენტინა-ინტერი ..................... 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 25 | 18 | 3 | 4 | 46-15 | 57 |
| 2.ნაპოლი | 25 | 17 | 5 | 3 | 53-20 | 56 |
| 3.ფიორენტინა | 25 | 15 | 4 | 6 | 44-24 | 49 |
| 4.რომა | 25 | 13 | 8 | 4 | 47-27 | 47 |
| 5.ინტერი | 25 | 13 | 6 | 6 | 31-22 | 45 |
| 6.მილანი | 25 | 12 | 7 | 6 | 37-27 | 43 |
| 7.ლაციო | 25 | 10 | 6 | 9 | 34-34 | 36 |
| 8.სასუოლო | 25 | 8 | 11 | 6 | 29-29 | 35 |
| 9.ემპოლი | 25 | 9 | 7 | 9 | 30-34 | 34 |
| 10.ბოლონია | 25 | 10 | 3 | 12 | 29-31 | 33 |
| 11.კიევო | 25 | 8 | 7 | 10 | 30-33 | 31 |
| 12.ტორინო | 25 | 8 | 7 | 10 | 33-33 | 31 |
| 13.ატალანტა | 25 | 7 | 8 | 10 | 23-27 | 29 |
| 14.უდინეზე | 25 | 7 | 6 | 12 | 21-38 | 27 |
| 15.პალერმო | 25 | 7 | 5 | 13 | 27-42 | 26 |
| 16.ჯენოა | 25 | 6 | 7 | 12 | 25-30 | 25 |
| 17.სამპდორია | 25 | 6 | 7 | 12 | 36-43 | 25 |
| 18.ფროზინონე | 25 | 6 | 4 | 15 | 26-51 | 22 |
| 19.კარპი | 25 | 4 | 7 | 14 | 23-43 | 19 |
| 20.ვერონა | 25 | 1 | 12 | 12 | 21-42 | 15 |

**იტალია. სერია ბ**

სპეცია-ლივორნო ........................... 3:0

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

ლიონი-კაენი .................................. 4:1
სტ.ეტიენი-მონაკო ......................... 1:1
ნიცა-მარსელი ................................ 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 26 | 22 | 4 | 0 | 63-12 | 70 |
| 2.მონაკო | 26 | 12 | 10 | 4 | 37-29 | 46 |
| 3.ნიცა | 26 | 11 | 7 | 8 | 39-30 | 40 |
| 5.სტ.ეტიენი | 26 | 12 | 4 | 10 | 31-29 | 40 |
| 5.ლიონი | 26 | 11 | 6 | 9 | 38-28 | 39 |
| 6.ნანტი | 26 | 10 | 9 | 7 | 26-24 | 39 |
| 7.რენი | 26 | 9 | 11 | 6 | 34-31 | 38 |
| 8.ანჟე | 26 | 10 | 7 | 9 | 25-24 | 37 |
| 9.ბორდო | 26 | 9 | 9 | 8 | 36-39 | 36 |
| 10.კაენი | 26 | 11 | 3 | 12 | 27-35 | 36 |
| 11.მარსელი | 26 | 8 | 11 | 7 | 36-27 | 35 |
| 12.ბასტია | 26 | 10 | 4 | 12 | 25-29 | 34 |
| 13.ლილი | 26 | 6 | 13 | 7 | 20-20 | 31 |
| 14.ლორიანი | 26 | 7 | 10 | 9 | 35-38 | 31 |
| 15.გენგამი | 26 | 8 | 7 | 11 | 28-34 | 31 |
| 16.მონპელიე | 26 | 8 | 5 | 13 | 30-31 | 29 |
| 17.რეიმსი | 26 | 7 | 8 | 11 | 27-34 | 29 |
| 18.გაზელეკი | 26 | 6 | 9 | 11 | 27-37 | 27 |
| 19.ტულუზა | 26 | 4 | 9 | 13 | 25-44 | 21 |
| 20.ტრუა | 26 | 2 | 8 | 16 | 19-53 | 14 |

**ჰოლანდია. ეროვდივიზიონი**

გრონინგენი-აიაქსი ........................ 1:2
ექსელსიორი-დენ ჰააგი ................. 2:4
ზვოლე-ფეინოორდი ....................... 3:1
ნაიმეგენი-პსვ ................................ 0:3

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

აროუკა-მადეირა ............................ 3:0
ეშტორილი-ტონდელა .................... 2:1
ბოავიშტა-აკადემიკა ...................... 0:0
მარიტიმუ-ბრაგა ............................ 1:3

**შვეიცარია. სუპერლიგა**

გრასჰოპერსი-ბაზელი .................... 0:4
ლუცერნი-ციურიხი ........................ 1:2

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ავსტრია-რაპიდი ............................ 0:3

**ბელგია. პრო ლიგა**

ოსტენდე-ბრიუგე ........................... 0:2
ვესტერლო-სტანდარდი ................. 2:0
სტ.ტრუიდენი-მეხელენი ................ 0:3

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

იანინა-პანათინაიკოსი ................... 0:3
კალონისი-პანიონიოსი ................... 1:1
პანეთოლიკოსი-ლევადიაკოსი ....... 2:0
პაოკი-ირაკლისი ............................ 0:1

**თურქეთი. სუპერლიგა**

გაზიანთები-აკჰისარი .................... 0:1
სივასი-რიზე ................................... 2:1
ესკიშეჰირი-ანთალია ..................... 3:2
ბაშაქშეჰირი-ბეშიქთაში ................ 2:2

**ჩეხეთი. სინოტ ლიგა**

ბოლესლავი-ბანიკი ........................ 3:0
სლოვაცკო-პლზენი ........................ 1:2

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

ლეხი-ნეცეჩა .................................. 5:2
ლეგია-იაგელონია .......................... 4:0

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე", სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

# ჯარიმა მძინარე ლე პენთან სელფისთვის



პარიზის რაიონულმა სასამართლომ ამერიკელი პოპმომღერლის მადონას ყოფილი საყვარელი და მოცეკვავე ბრახიმ ზაიბატი საფრანგეთის „ნაციონალური ფრონტის“ დამაარსებელ მძინარე ჟან-მარი ლე პენთან სელფისთვის დააჯარიმა. მოცეკვავეს ერთი ევროს გადახდა და შეურაცხმყოფელი ფოტოსურათის წაშლა დაეკისრა.

87 წლის ლე პენი 29 წლის ზაიბატისთვის მის პირად ცხოვრებაში შეჭრისა და საავტორო უფლებების დარღვევისთვის 50 ათასი ევროს გადახდის დაკისრებას მოითხოვდა. სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა მისი მოთხოვნა, ჩათვალა, რომ „სურათი იუმორისტული ხასიათისაა, ხოლო მისთვის გაკეთებული წარწერა – პოლიტიკური შინაარსის“, რაც პოლიტიკოსის მიერ მისი გამოყენების უფლებას არღვევს.

ამავე დროს, მოსამართლემ განაცხადა, რომ ფოტოსურათი არ ყოფილა არც დამამცირებელი, არც ბოროტი. აქედან გამომდინარე, ზაიბატის ჯარიმის სახით მხოლოდ ერთი ევროს გადახდა მოუწევს, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მოცეკვავე ფოტოსურათს 48 საათის განმავლობაში არ წაშლის, ჯარიმის ოდენობა ყოველდღიურად ათასი ევროთი გაიზრდება. ასევე ახალგაზრდამ ლი პენს უნდა აუნაზღაუროს სამი ათასი ევრო, რომელიც მან იურიდიულ მომსახურებაზე დახარჯა.

# ესპანელ მოზარდებს გამოცდებზე თაღლითობა ძვირად დაუჯდებათ




ესპანეთის ქალაქ ალმერიაში ორ მოზარდს ერთწლიანი პატიმრობა ემუქრება იმის გამო, რომ ერთ-ერთმა მათგანმა სასწავლებელში მისაღები გამოცდების ჩაბარება მეორეს მაგივრად სცადა. სწორედ ასეთ სასჯელს მოითხოვს ამ თაღლითობისთვის პროკურატურა.

ყმაწვილებს საბუთების გაყალბებაში დასდეს ბრალი. როდესაც ახალგაზრდა გამოცდაზე მეგობრის მაგივრად მივიდა, სხვისი პირადობის დამადასტურებელი საბუთით ისარგებლა, ხელი კი თავისი სახელით მოაწერა.

ბრალმდებელი ასევე მოითხოვს მათ ყოველდღიურად ჯარიმის სახით ექვსი ევრო გადაიხადონ მთელი წლის მანძილზე.

ბრალდებულთა ერთ-ერთმა ადვოკატმა პროკურორის მიერ მოთხოვნილ სასჯელს დანაშაულის შეუსაბამო და ბარბაროსული უწოდა. იურისტის აზრით, საგამოცდო სამუშაო არ შეიძლება განხილულ იქნას ოფიციალურ საბუთად.

– მათ არავისთვის არაფერი დაუშავებიათ და თუ მათი ქმედება არ იყო ღირსეული საქციელი, ეს არ არის საკმარისი მიზეზი საიმისოდ, რათა ისინი ციხეში გაუშვან, – აღნიშნა ადვოკატმა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# ხუან მატა შესაძლოა მადრიდის ატლეტიკოში გადავიდეს



მანჩესტერ იუნაიტედის ესპანელი ნახევარმცველი შესაძლოა სამშობლოში დაბრუნდეს, კერძოდ კი, მადრიდის ატლეტიკოში.

მატამ ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ მას ესპანეთში ცხოვრება ენატრება, ამიტომ მისი ტრანსფერი რომელიმე ესპანურ გუნდში საკმაოდ რეალურია.

გარდა ამისა, მანჩესტერ იუნაიტედში მალე ჟოზე მაურინიო იქნება, რომელთანაც მატას ჯერ კიდევ ჩელსიდან არცთუ კარგი ურთიერთობა აქვს.

რაც შეეხება მადრიდის ატლეტიკოს, დიეგო სიმეონეს გუნდი ზაფხულში სერიოზულად გეგმავს გაძლიერებას და რამდენიმე ახალი ფეხბურთელის დამატებას. შესაძლოა, ხუან მატა ერთ-ერთი მათგანი აღმოჩნდეს.

# ხამესი რეალიდან წასვლას არ აპირებს



მადრიდის რეალის კოლუმბიელი ფორვარდი ხამეს როდრიგესი აცხადებს, რომ სამეფო გუნდში ბედნიერია და არსად წასვლას არ აპირებს.

ხამესმა კომენტარის გაკეთება მას შემდეგ მოისურვა, რაც პრესა მის მანჩესტერ იუნაიტედში ტრანსფერზე ალაპარაკდა.

– მანჩესტერის მხრიდან ყურადღება ჩემთვის სასიამოვნოა, მაგრამ მე მსოფლიოს საუკეთესო გუნდში ვთამაშობ, ამიტომ რეალის დატოვებას არ ვაპირებ. ჩემი წასვლის შესახებ ინფორმაცია ჭორია და მეტი არაფერი, – განაცხადა ხამესმა.

აღსანიშნავია, რომ ხამესი ბოლო პერიოდში არცთუ დამაჯერებლად გამოიყურებოდა მოედანზე, თუმცა რეალის ბოლო შეხვედრაში ატლეტიკოს წინააღმდეგ მან საკმაოდ ლამაზი და მნიშვნელოვანი გოლი გაიტანა.

# მარკო ვერატიმ პსჟ-სთან კონტრაქტი გაახანგრძლივა



ფრანგული პსჟ-ს იტალიელმა ნახევარმცველმა მარკო ვერატიმ თავის გუნდთან კონტრაქტი 2020 წლამდე გაახანგრძლივა.

ვერატის არაერთ კლუბში უწინასწარმეტყველებდნენ გადასვლას, მათ შორის ბარსელონაშიც, მაგრამ მარკომ ისევ პსჟ არჩია.

მისი თქმით, ამ გუნდში ის გაიზარდა როგორც ფეხბურთელი, ამიტომ სურს პარიზში რაც შეიძლება მეტი წელიწადი გაატაროს.

ვერატი პსჟ-ში 2012 წლიდან თამაშობს და გუნდის ნახევარდაცვაში ერთ-ერთი მთავარი ფიგურაა. კარიერა კი მან იტალიურ ვერონაში დაიწყო.

# მესის პენალტის დროს პასი ნეიმარზე უნდა გაეკეთებინა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

კომბინაცია გოლით დაასრულა. პენალტის მსგავსი შესრულება დღევანდელ ფეხბურთში საკმაოდ იშვიათია და ამ მომენტმა ყველას ყურადღება მიიპყრო. ასეთი რამ რობერ პირესმა და ტიერი ანრიმაც სცადეს არსენალში 2005 წელს, მაგრამ მათი მცდელობა ცუდად დასრულდა, ამიტომ იმის შემდეგ თერთმეტმეტრიანის დროს პასი არავის გაუკეთებია.

მატჩის შემდეგ ჟურნალისტებმა ნეიმარს დაუსვეს კითხვები ამ საკითხთან დაკავშირებით. ნეიმარმა განაცხადა, რომ მესის გადაცემა მისთვის უნდა გაეკეთებინა, მაგრამ სუარესი უფრო ახლოს იყო ბურთთან, ამიტომ საბოლოო დარტყმა სწორედ მან განახორციელა.

ამ გოლს ტვიტერზეც საკმაოდ ბევრი ყოფილი თუ ახლანდელი ფეხბურთელი გამოეხმაურა. გარი ლინეკერმა დაწერა, რომ ის თანაუგრძნობს მათ, ვისაც ბარსელონა-სელტას მეორე ტაიმი არ უნახავს. კატალონიური გუნდი შეაქო მაიკლ ოუენმაც, რომლის აზრით, დღევანდელი ბარსელონა მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში საუკეთესო კლუბია.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

# ყველაზე უხვქულიანი ოლ სტარი კობი ბრაიანტისთვის ბოლო აღმოჩნდა




ნბა-ს ისტორიაში ყველა ვარსკვლავის მატჩში პირველად გასცდა ამერიკის ფარგლებს და კანადის ქალაქ ტორონტოში ჩატარდა. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ამ ქალაქის გუნდი დიდი ხანია ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის წევრია. ტორონტოში გამართული მატჩი სხვა მხრივაც შევიდა ისტორიაში – ყველაზე უხვქულიანი გამოდგა და დასავლეთმა აღმოსავლეთს 196:173 მოუგო.

ეს იყო ბოლო ოლ სტარი ლეგენდარული კობი ბრაიანტისთვის და რა გასაკვირია, რომ მას ყველაზე მეტი ყურადღება დაუთმეს. ლეგენდარულმა მეჯიქ ჯონსონმა გულშემატკივრებს შეახსენა, რომ ბრაიანტის 18 ოლ სტარში მონაწილეობა არის ყველა დროის მეორე შედეგი ქარიმ აბდულ-ჯაბარის შემდეგ.

მატჩის ბომბარდირი 41 ქულით ინდიანას ფორვარდი პოლ ჯორჯი გახდა, მაგრამ მვპ-ის ტიტული გამარჯვებული გუნდის ლიდერ რასელ ვესტბრუკს გადასცეს. ვესტბრუკმა ეს ჯილდო ზედიზედ მეორედ მოიგო და ამ მხრივ ისტორიაში შევიდა. საქმე ის არის, რომ ეს ტიტული ზედიზედ 2-ჯერ არავის მოუგია.

ტრადიციულად გაიმართა სამქულიანებისა და ჩატენვების კონკურსი.

სამქულიანების შეჯიბრი გოლდენ სტეიტის მსროლელის კლეი ტომპსონის გამარჯვებით დასრულდა.

კონკურსში სულ 8 კალათბურთელი იღებდა მონაწილეობას: სტეფ კარი, კლეი ტომპსონი (ორივე გოლდენ სტეიტი), ჯეი ჯეი რედიკი (კლიპერსი), კრის მიდლტონი (მილუოკი), ჯეიმს ჰარდენი (ჰიუსტონი), კრის ბოში (მაიამი), კაილ ლოური (ტორონტო), დევინ ბუკერი (ფინიქსი).

ტომპსონმა პირველ რაუნდში 22 ქულა მოიპოვა, ხოლო ფინალურ ტურში კიდევ უფრო სიზუსტით გამოირჩა და 27 ზუსტი სამიანით საუკეთესო გახლდათ.

ზედიზედ მეორედ გახდა ჩატენვების კონკურსის გამარჯვებული მინესოტას კალათბურთელი ზაკ ლავინი.

სლემ დანქებში ერთმანეთს ანდრე დრამონდი (დეტროიტი), უილ ბარტონი (დენვერი), არონ გორდონი (ორლანდო) და ლავინი ეჯიბრებოდნენ. ფინალში ზაკ ლავინი არონ გორდონს დაუპირისპირდა და 50:47 აჯობა.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# ასტროპროგნოზი
## 16 თებერვლისათვის



**ვერძი** – ფინანსური ოპერაციებისას სიფრთხილე და თავშეკავება გამოიჩინეთ. ზოგიერთი ნაცნობის მიმართ ქცევის შეცვლა მოგიწევთ. ერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციებს და უფრო რბილი და მოქნილი იყავით. **კურო** – ხელშეკრულებების გასაფორმებლად, მივლინებებისათვის შესაფერისი პერიოდია. მიმართეთ ძველ მეთოდებს. ექსპერიმენტები რეკომენდებული არ არის. **ტყუპები** – დღის პირველი ნახევარი წარმატებული იქნება, თუ იმ საქმეს გააკეთებთ, რომელშიც კარგად ერკვევით. თავს ზედმეტად ნუ გადაიტვირთავთ. **კირჩხიბი** – ახლობლებს თქვენი დახმარება სჭირდებათ. დაეხმარეთ, მაგრამ ისე, რომ თქვენი პირადი ინტერესები არ დაზარალდეს. **ლომი** – კეთილისმყოფელი დღეა საქმიანი კონტაქტებისათვის, შემოქმედი ადამიანებისათვის. საღამო მეგობრების წრეში გაატარეთ. **ქალწული** – თუ გაწყენინეს, შურისძიებაზე არც იფიქროთ. კეთილშობილება და მიმტევებლობა საქმეს უფრო წაადგება. პროფესიულ საქმიანობაში ცვლილებებია მოსალოდნელი. **სასწორი** – ზედმეტი თავდაჯერებულობაც და გაუბედაობაც დაგაზარალებთ. ზომიერება დაიცავით. **ღრიანკალი** – კრიტიკული დღეა. განერვიულებული და გაღიზიანებული ხართ. ერიდეთ ადამიანებს, რომლებიც თქვენზე უარყოფით გავლენას ახდენენ. **მშვილდოსანი** – პლანეტა ვენერა რომანტიკულ ურთიერთობებში გეხმარებათ. განსაკუთრებით იღბლიანი დღეა ქალებისათვის. **თხის რქა** – იღბალი თქვენ მხარესაა. რასაც ხელს მოჰკიდებთ, იდეალურად გამოგივათ. ახალი იდეების განხორციელება წარმატებას მოგიტანთ. **მერწყული** – სიყვარულში ბედი გწყალობთ. დაივიწყეთ ყოველგვარი უსიამოვნება და დატკბით თითოეული წამით. **თევზები** – ფინანსური ოპერაციები წარმატებით ჩაივლის. კომპრომისზე წასვლა დღეს აუცილებელია. შესაძლოა, შემოსავლის ახალი წყაროც გაგიჩნდეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი

**შვეულად:** 1. რაიმე საქმეში უაღრესად დახელოვნებული ადამიანი; 2. მუქი წითელი ფერის კურკოვანი ხილი; 3. ნავსადგური იორდანიაში; 4. ავსტრალიური სირაქლემა; 5. მაღალხარისხოვანი ყავის ერთ-ერთი ჯიში; 10. ღვინის წარმოების ცენტრი ყირიმში; 11. აშშ-ს პირველი პრეზიდენტი; 12. ესპანეთის ნაკრებისა და „ბარსელონას“ ფეხბურთელი; 15. საფრანგეთში მოღვაწე ქართველი ოქრომჭედელი; 16. გერმანული ფარმაცევტული ფირმა; 17. სამხრეთ ამერიკაში გავრცელებული ლამასებრთა ოჯახის ძვირფასბეწვიანი ცხოველი; 20. შვედური ავტომობილი.

**თარაზულად:** 6. სამოქალაქო სამართალი; 7. კახეთში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის ფრანგული ჯიში; 8. ზღვისპირა კურორტი სამეგრელოში; 9. კათოლიკური რელიგიური საგალობელი; 13. არომატული, მატონიზირებელი უაკლოჰოლო სასმელი; 14. ბოშათა წინამძღოლი; 18. ფრანგი მარშალი, შვედეთის მეფე; 19. მტრედის ბარტყი; 21. გურულების მოკლე ჩოხა; 22. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი ფირმა; 23. ხორვატი სამთო-მოთხილამურე ქალი, ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონი; 24. სპორტის სათამაშო ოლიმპიური სახეობა.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 5. მაჭახელა; 6. ბუნიაობა; 10. მეტეხი; 11. რიმესა; 12. რეფერენდუმი; 17. სათბობი; 18. კარკასი; 19. ტარხუნა; 20. ჯამაგირი.

**შვეულად:** 1. კამათელი; 2. თეზისი; 3. ონავარი; 4. ობელისკი; 7. სეფარდები; 8. მარმელადი; 9. ომონიმიკა; 13. სპასპეტი; 14. მესტვირე; 15. შინიონი; 16. ყაზარმა.

**სკანვორდის პასუხები:**

1. პავიანი; 2. ანსი; 3. ანდანტე; 4. კაბა; 5. კაენი; 6. იდიია; 7. ლიკანი; 8. ას; 9. პანტა; 10. პრადო; 11. არტისტი; 12. პარტია; 13. ოტელი; 14. სარდინია; 15. პელიკანი; 16. აპისი; 17. ატლასი; 18. ხიდი; 19. ობელისკი; 20. დარიკო; 21. ფასი; 22. აბსენთი; 23. ლივ; 24. სანტა; 25. ბალასტი; 26. პიერ; 27. სი; 28. პინგვინი; 29. ნუგა; 30. მარანი; 31. კაპრონი.

**სურათებზე:** ფანი არდანი; ხაბი ალონსო.

# ალი და ნინო რომანტიკულ ქანდაკებათა ათეულში მოხვდა



ქართველი მხატვრის თამარ კვესიტაძის მიერ დამზადებული და ბათუმში განთავსებული ალი და ნინოს ქანდაკება მსოფლიოს ყველაზე რომანტიკული ქანდაკებების ათეულში მოხვდა.

სიყვარულის დღესთან დაკავშირებით ჩატარდა გამოკითხვა და დასახელდა მსოფლიოში სხვადასხვა ქვეყნებში მდებარე ქანდაკებები, რომლებიც სიყვარულის თემასთან ყველაზე მეტად არის ასოცირებული.

ალი და ნინოს ქანდაკება ბათუმში 6 წლის წინ საზეიმოდ გაიხსნა. 7-მეტრიანი ქალისა და მამაკაცის სკულპტურებს გარდასახვისთვის 40 წუთი სჭირდებათ. ისინი ერთმანეთს უერთდებიან და სიყვარულის და ერთიანობის სიმბოლოდ იქცევიან.

# თოჯინების თეატრი სამშვილიანი დედის გადასარჩენად სპექტაკლს ითამაშებს

თბილისის გიორგი მიქელაძის სახელობის სახელმწიფო თეატრი 3 შვილის დედის გადასარჩენად საქველმოქმედო სპექტაკლს გამართავს.

17 თებერვალს თბილისის თოჯინების სახელმწიფო თეატრისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანიზებით წარმოდგენილი იქნება გურამ მაცხონაშვილის სპექტაკლი „ვიდრე უფლისწული თავს მოიკლავს“. ბილეთების გაყიდვიდან შემოსული თანხა კი სრულად გადაირიცხება მარი ბურდულისთვის გახსნილ სპეციალურ საბანკო ანგარიშზე.

მარი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომელია. ის 32 წლის არის და 3 მცირეწლოვანი ტყუპის დედაა. მარი ბურდულს დაუდგინდა ქოროიდალური მალიგნანტური მელანომა, რაც სასწრაფო მკურნალობას მოითხოვს ძვირადღირებული მედიკამენტებით.

საქველმოქმედო სპექტაკლზე დასასწრები ბილეთის ფასი 5 ლარია, წარმოდგენის დასაწყისი კი 20 საათი. საქველმოქმედო სპექტაკლი მერაბ ბერძენიშვილის სახელობის კულტურის ცენტრ „მუზაში“ გათამაშდება.



# „ქუჩის ბიჭების“ პიკასომ ჯვარი დაიწერა

ჯგუფი „ქუჩის ბიჭების“ ერთ-ერთმა წევრმა ირაკლი ნოზაძემ, იგივე პიკასომ ჯვარი დაიწერა. მისი რჩეული ია დუდაშვილია, რომელიც ორსულადაა და უახლოეს მომავალში მომღერალს შვილს – გოგონას აჩუქებს.

ირაკლი ნოზაძემ და მისმა რჩეულმა ჯვარი ვალენტინობაზე, სიყვარულის დღეს საგურამოში დაიწერეს, ქორწილი კი უახლოესი მეგობრების წრეში გადაიხადეს. ირაკლისთვის ეს მესამე ქორწინებაა. მას მეორე ცოლისგან ბიჭი – ლუკა ჰყავს, რომელიც მამის ქორწილში საპატიო და განსაკუთრებული სტუმრის სტატუსით იყო მიწვეული.

ირაკლის პირველი მეუღლე ქეთა თოფურიას ახლო მეგობარი ანუკა ჟღენტი იყო. წყვილი ერთმანეთს დაშორდა. პიკასო მეორედ ელენე ქართველიშვილზე დაქორწინდა, რომელთანაც რვა წელიწადი გაატარა, მათ შვილი, ლუკა შეეძინათ, თუმცა ორი წლის წინ მათ ცალ-ცალკე ცხოვრება გადაწყვიტეს.

ამჯერად ირაკლიმ იაზე დაიწერა ჯვარი და მას სამუდამო ერთგულებაც შეჰფიცა. ქორწილამდე ორიოდე დღით ადრე იამ ირაკლი სპეციალური სიგელით დააჯილდოვა და მსოფლიოში ყველაზე საუკეთესო მეუღლის და მამის სიგელი გადასცა.

პიკასო „ქუჩის ბიჭების“ დაარსების დღიდან მისი უცვლელი წევრია. ერთი პერიოდი მომღერალი ჯგუფის წევრებს ჩამოშორდა და სოლო კარიერის დაწყება გადაწყვიტა, თუმცა მოგვიანებით ისევ ბიჭებს შეუერთდა და მათთან ერთად აგრძელებს ახალ სიმღერებზე მუშაობას და კონცერტებში მონაწილეობას.

# ქართულ თეატრში საუკეთესო ხუთეული დასახელდება




ილიაუნის თეატრში თანამედროვე ქართული თეატრის კვლევის ცენტრის მიერ განხორციელებული კვლევის „ქართული თეატრი 2015 წელს“ პრეზენტაცია გაიმართება, სადაც მოხდება საუკეთესო ხუთეულების გამოვლენა 9 ნომინაციაში. ღონისძიება 16 თებერვალს ჩატარდება.

– უკვე მეხუთე წელია თანამედროვე ქართული თეატრის კვლევის ცენტრი ყოველი წლის დასაწყისში აჯამებს ქართული თეატრების, იქნება ეს სახელმწიფო, მუნიციპალური თუ კერძო თეატრი, განვლილი ერთი წლის მუშაობას, ავლენს და ასახელებს წლის პროდუქტიულ მსახიობებსა და რეჟისორებს, თეატრის მხატვრებს, ასევე ადგენს თეატრების და თეატრის მოღვაწეების პროფესიულ და სტატისტიკურ რეიტინგებს განვლილი ერთი წლის მაგალითზე.

კვლევა დიდი პოპულარობით სარგებლობს თეატრის მოღვაწეებს შორის, რომელიც ემსახურება თეატრებისა და თეატრის მოღვაწეების მოტივაციის ამაღლებას, წახალისებასა და კონკურენციის გაზრდას, – აცხადებს თანამედროვე ქართული თეატრის კვლევის ცენტრის დირექტორი ლაშა ჩხარტიშვილი.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში თანამედროვე პოეტები შეიკრიბნენ



თბილისში მდებარე ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში თანამედროვე პოეტები შეიკრიბნენ და მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის თეატრალური სახელოსნოს მხატვრული კითხვის დარბაზის აღსაზრდელებს საკუთარი შემოქმედება გააცნეს.

თანამედროვე პოეტები თბილისში ჩამოვიდნენ თელავიდან, ამბროლაურიდან, ჰერეთიდან, ხაშურიდან, ზუგდიდიდან, გორიდან და საკუთარი შემოქმედება ბავშვებს წარუდგინეს. მათი უმრავლესობა სასახლის აღზრდილია.

როგორც ღონისძიების ორგანიზატორმა ინეზა აბესაძემ განაცხადა, ეს არის ტრადიციული ღონისძიება, რომელიც ყოველ წელს ტარდება და სხვადასხვა ქართველი პოეტების შემოქმედების პოპულარიზაციას ემსახურება.

# სამგლოვიარო განცხადებები



აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტრო, გალის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა განათლების დარგის ღვაწლმოსილი მუშაკი, აფხაზეთის და საქართველოს დამსახურებული ფინანსისტი

**მიხეილ ლუკიანეს ძე მაჭავარიანი**

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მიხეილ (მიშა) მაჭავარიანი დაიბადა 1937 წლის 20 მაისს გალის რაიონის სოფელ შეშელეთში. აჩიგვარის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ განათლება მიიღო ჯერ სოხუმის საბუღალტრო ტექნიკუმში, შემდეგ სოხუმის ფიზიკა-მათემატიკის ინსტიტუტში. 1958 წლიდან უწყვეტად მუშაობდა გალის რაიონის განათლების განყოფილებაში მთავარ ბუღალტრად. იყო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების მუშაკთა პროფკავშირების საოლქო კომიტეტის სარევიზიო კომისიის წევრი, ამავე პროფკავშირების წარჩინებული მუშაკი. ფლობდა უამრავ სიგელს და სხვადასხვა ჯილდოს.

მიშიკო მაჭავარიანი თავის მეუღლესთან ია ჯიმშელია-მაჭავარიანთან მთელი 50 წელიწადი ემსახურა მშობლიური გალის რაიონის განათლების სისტემას და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ამ სისტემის განვითარების საქმეში.

მიშა არც გალში, არც დევნილობაში, თბილისში ყოფნის ჟამს, არასოდეს აგრძნობინებდა ადამიანს თავის გაჭირვებას და უდიდეს სულიერ ტკივილს ჩვეული იუმორით, ღიმილით, ახალგაზრდული შემართებით ებრძოდა. ამიტომაც ერთნაირად უყვარდა ყველას: ოჯახის წევრს, მეგობარს, თანამშრომელს, მეზობელს, ჩვეულებრივ ნაცნობს. მან თავისი გარდაცვალებით გადაინაცვლა მარადიულ სამყაროში, სადაც მისი საყვარელი შვილი მამუკა განისვენებს.

ნათელში იყოს მიშიკო მაჭავარიანის სული.

დაკრძალვა გაიმართება მშობლიურ ქალაქ გალში, 18 თებერვალს.



აფხაზეთის დევნილი ხელისუფლება, სამურზაყანოს ნალები ინტელიგენცია, ნათესავ-მეგობრები დიდი მწუხარებით იუწყებიან სახალხო განათლების ღვაწლმოსილი მუშაკის, სრულყოფილი კოლორიტული პიროვნების, მაღალი რანგის ფინანსისტის, კარგი მეოჯახისა და მეგობრის

**მიხეილ ლუკიანეს ძე მაჭავარიანის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ მის ოჯახს.

***ვახტანგ ყოლბაია, გია გვაზავა, თამაზ ხუბუა, ნოდარ ზარანდია, რაჟდენ ქარდავა***

ბიძაშვილები მერაბ და ჯემალ მანჯგალაძეები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან სერგო მანჯგალაძის მეუღლის

**ნინო ნაცვლიშვილი-მანჯგალაძის**

მოულოდნელ გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ მის ოჯახს.



აფხაზეთის დევნილი ხელისუფლება, ძირძველი სამურზაყანოს ნალები ინტელიგენცია ღრმა მწუხარებით იუწყება საქართველოს დამსახურებული ენერგეტიკოსის, ვარდნილჰესების კასკადის დირექტორის, ქართულ-აფხაზურ დაძაბულ ლაბირინთში ჭკვიანი პოლიტიკოს-შუამავლის, კარგი მეგობრისა და მეოჯახის

**ალფეზ არსენის ძე შელიას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ მის ოჯახს.

***ვახტანგ ყოლბაია, გია გვაზავა, დათო გვაძაბია, თამაზ ხუბუა, ანზორ წოწონავა, მურმან კვარაცხელია, როსტომ შამუგია, ჯემალ გამახარია***

გარდაიცვალა საქართველოს ენერგეტიკის დამსახურებული მუშაკი, ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე განლაგებული ინგურჰესის კასკადის დირექტორი, სიცოცხლის ფასად საომარი მოქმედებების დროს I ვარდნილჰესის გადარჩენის მთავარი ორგანიზატორი, სრულყოფილი კოლორიტული პიროვნება, ლეგენდა კაცი

**ალფეზ არსენის ძე შელია**

რომელიც უდიდესი დანაკლისია არა მარტო ოჯახისა და ნათესავ-მეგობრებისათვის, არამედ მთლიანად საქართველოსთვის.

ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს ზეციურ საუფლოში მარადისობის გზაზე შემდგარ მის უწმინდეს სულს აწ და მარადის, ამინ!

***რაჟდენ ქარდავა, ანზორ და ზურაბ ბუკიები ოჯახებით***

ვიზიარებთ მწუხარებას დიდი პიროვნების, კარგი ხელმძღვანელის, დიდებული მეოჯახისა და მამის

**ალფეზ არსენის ძე შელიას**

მოულოდნელი გარდაცვალების გამო და თანავუგრძნობთ მის ოჯახს.

***კოლექტივის სახელით, შოთა სანაძე, ზურაბ ზაქარაია, ჯეირან ხორავა, ბაჩანა ზუხბაია, ბონდო კვირკველია, ბონდო ყოლბაია, ჯუსტან ჩეხერია***



აფხაზეთის დევნილი ხელისუფლება, ინტელიგენცია, ნათესავ-მეგობრები გულისტკივილით იუწყებიან დიდებული კოლორიტული პიროვნების, საქართველოს სატრანსპორტო საზოგადოების გამოჩენილი მუშაკის, საზოგადოების ნალები წევრის

**გიორგი (ჟორა) მეგოს ძე ხორავას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ მის ოჯახს.

***ვახტანგ ყოლბაია, რუდიკ ცატავა, თამაზ ხუბუა, ტარიელ შონია, ბოჩია კეშელავა, გიგლა ქარდავა, რაფიელ გელანტია, ვალტერ ქობალია, დათო სოტკილავა, რაჟდენ ქარდავა***

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# პროგრამა

**სამშაბათი 16 თებერვალი**

**06.30** მუსიკა **07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00 01.30** "მოამბე" **07.05, 09.10** "დილა" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00** ტ/სერ. "**დაუნტონის სააბატო**" **12.30** "გურმანია" **13.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **14.05** "დღე მუზეუმში" **14.30** ან/ფ "მხიარული ფერმა" **15.00** დ/ფ "ჯეიმი ოლივერის რევოლუცია კვების სფეროში" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** ტ/სერ. "**ქესელი**" **18.30** **ფეხბურთი**. მსოფლიო ლიგა: **საქართველო – უნგრეთი** **20.30** "ცხოვრება ციფრებში" **21.00** თოქ-შოუ: "რეალური სივრცე" **22.00** დ/ფ "თოფ-გიარი" **22.50** ეპოქის ფრაგმენტი" – ზღვის უბანი **22.59** "კომუნიკატორი" **23.00** ჩემპიონთა ლიგის წინასამატჩო გადაცემა. **23.40** **ფეხბურთი**. ჩემპიონთა ლიგა **1/8** ფინალური მატჩი **პსჟ-ჩელსი**. **01.40** მხ/ფ "**ელისაბედი**" (კ.ბლანშეტი)

**08.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.30** "ბრიფინგის დრო" **10.00** "გეოფაქტორი" **10.10** "აფხაზეთი" **11.00** დ/ფ "შავი მატერიის საიდუმლო" **13.00** დ/ფ "როცა ეგვიპტელები წითელ ზღვაზე დაცურავდნენ" **14.00, 16.00** ტ/სერ. "**ნიკიტა**" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" (**5** ენაზე) **21.30** "არგუმენტების დრო"

**06.30, 14.40** სერ. "**ორი ბედი**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.50** ქრონიკა **07.35, 08.10, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**ოცი წუთი**" **11.20** სერ. "**დახურული სკოლა**" **7** სერ. **12.30** დღის შოუ **16.00** სერ. "**თანხმობა**" **17.35, 19.03** სერ. "**პატარძალი**" **20.55** სერ. "**ნამსხვრევები**" **22.00** ცოდნა ფულია **23.00** მხ/ფ "**კოლიბრი**" (ჯ. სტეტჰემი) **01.00** სერ. "**პუპეტა**" **2** სერ. **02.50** ერთხელ საქართველოში **04.20** მხ/ფ "**მტერი კარიბჭესთან**" (ჯ.ფაინსი)

**06.30** სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30, 14.05** "შუა დღე" **15.55** სერ. "**ქარადაი - ახალგაზრდობა**" **16.55** სერ. "**ინდური საგა**" **18.45** სერ. "**შენ, მხოლოდ შენ**" **19.45, 20.05** სერ. "**აღთქმა**" **20.50** ლოტო **22.00** არჩევანი **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი

**8.30, 18.30** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები. **9.00, 15.30** Discovery. ისტორიის საიდუმლოებათა ამოხსნა ოლი სტიდსთან ერთად **10.00** ან/სერ. "**ავატარი ლეგენდა აანგის შესახებ**" **11.00, 22.00** მზარეულები **11.30** შუადღე **14.00, 20.00** ცოლები და ქმრები **14.30, 19.00** სერ. "**ახალი გოგო**" **15.00, 19.30** სერ. "**ცენტრი**" **16.30** აირჩიე კაბა **17.30** ან/სერ. "**ვარსკვლავური ომები**" **20.30, 20.30**LIVE **22.30** მხ/ფ "**მაშველი**" **1.00** ID **Extra -** სასჯელს თითქმის გავექეცი **2.00,** URBAN STORIES **2.55** ჯიდიპედია

**06.10** სპექტაკლი "**მტრედის მოტანილი ბარათები**" I ნაწ. **07.20** დოკ. ფილმი "ივანე ჯავახიშვილი" **07.55** საქართველოს სამართლის ისტორია **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** მუს.პაუზა **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** პატერიკი-"სიბრძნე ბალავარისა-იგავი სამი მეგობრის შესახებ" **10.40** საქართველოს ქალაქები-ბორჯომი **11.10** თაობა ზეტი **11.30** გამოყენებითი ხელოვნება "ხეზე კვეთა–ბიძინა ჯანუყაშვილი" **11.40** ღვთის სახლი **12.10** მხ/ფ "**განგაში**" **13.30** შუადღე ერთსულოვნებაზე **14.30** დეკორატიული ფლორა "დუმფარა" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.20** ქართული ანიმაციური ფილმი **15.40** კონცერტი **16.30** მგზავრები წუთისოფლისა "შემოქმედის ეპარქია–სოფ.მაკვენეთი" **17.40** ერთი ექსპონატი, ერთი ისტორია **17.45** სიბრძნისმეტყველება **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** სჯანი "ინდუიზმი" **19.50** ღია აუდიტორია "ინესა მერებაშვილი" **20.40** ძილი ნებისა "მულტ. კონცერტი" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** ერთიანი მშვიდობიანი კავკასია **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.30** ჩვენი ფონდი **00.30** ერთსულოვნების სალონი **01.00** შუადღე ერთსულოვნებაზე

მაესტრო **07.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 02.00**"კონტაქტი" **07.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) **07.55** "საქმიანი დილა" **10.05** სერ. "**სხვისი სხეული**" **11.05** სერ. "**ქუზეი და გუნეი**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.30, 0.00** "ბიზნეს კონტაქტი" **13.30** დ/ფ "პროფესია მოგზაური" **14.05, 15.30, 16.05, 17.05, 01.00** სერ. "**კარმელიტა**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.05, 02.30** სერ. "**ბერძენი ქალი**" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.45, 22.30** სერ. "**დამიბრუნე სიყვარული**" **21.30** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


16 თებერვლისთვის

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 2.4806

ევრო — 2.8003

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.6100

100 რუსული რუბლი — 3.1228

**ამინდის პროგნოზი 16 თებერვლისთვის**




## კალეიდოსკოპი



## დანიელმა წყვილმა ჩახუტების რეკორდი დაამყარა



დანიელებმა მონიკა და ლარს შმიდტებმა ჩახუტების ხანგრძლივობის ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარეს. ისინი ერთმანეთს 40 საათის 43 წუთისა და 47 წამის განმავლობაში ეხვეოდნენ. ადრინდელი რეკორდი 24 საათსა და 13 წუთს უდრიდა.

წყვილმა გაიმარჯვა კონკურსში, რომელიც წმინდა ვალენტინის დღეს მიეძღვნა. შეჯიბრში 10 წყვილი იღებდა მონაწილეობას. კონკურსის პირობების თანახმად, ყოველი წყვილი 60 სანტიმეტრის დიამეტრის წრეში უნდა მდგარიყო და ერთმანეთს ჩახუტებოდნენ.

როგორც ორგანიზატორებმა განაცხადეს, ყოველ ორ საათში კონკურსის მონაწილეებს ათწუთიანი შესვენება ეძლეოდათ.

თავის მხრივ, გამარჯვებულებმა განაცხადეს, რომ კონკურსში მათი მონაწილეობის მიზეზი თანხის მოგება იყო. შმიდტებმა ჯილდოდ 10 ათასი დანიური კრონი (1,3 ათას ევროზე მეტი) მიიღეს.

## ჩიკაგოში ღამის გათევა ვან გოგის ნახატთან შეგეძლებათ



ამერიკის ქალაქ ჩიკაგოში მსურველებს ღამის გათევა იმ ოთახში შეეძლებათ, რომელიც მხატვარ ვინსენტე ვან გოგის ნახატის მიხედვით იქნება მოწყობილი. ოთახის დაქირავება სპეციალური სერვისის დახმარებით იქნება შესაძლებელი და ერთი ღამე 10 დოლარი ეღირება. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

ოთახის ასლი — ახალი გამოფენის „ვან გოგის საძინებლების“ ნაწილს წარმოადგენს, რომელსაც ჩიკაგოს ხელოვნების ინსტიტუტი ატარებს. აღსანიშნავია, რომ ტურისტებისა და ქალაქის სტუმრებისთვის შეთავაზებული ოთახი ზუსტად ისე გამოიყურება, როგორც არლში მხატვრის საძინებელი ოთახი, რომელიც მას არაერთხელ აუსახავს საკუთარ ნახატებში.

ოთახის შექმნას ოთხი კვირა დასჭირდა. ერთადერთ სერიოზულ განსხვავებას საწოლი წარმოადგენს. სურათზე ის ერთადგილიანია, ხოლო ნახატის მიხედვით შექმნილ ოთახში ორადგილიანი დგას. როგორც მუზეუმის პრეს-მდივანმა ამანდა ჰიკსმა განაცხადა, ჩიკაგოს ხელოვნების ინსტიტუტს სურდა ადამიანებისთვის სურათში „შესვლის“ შესაძლებლობა მიეცა.

საცხოვრებელში დანარჩენი ოთახები ჩვეულებრივია.

## ლონდონში ძაღლებისთვის ჰოთ-დოგის რესტორანი გაიხსნება



ლონდონში გაიხსნება ჰოთ-დოგის რესტორანი მიკროჩიპი, რომელშიც ყველაზე სასურველი სტუმრები ძაღლები იქნებიან.

ბილეთის საფასურში უკვე შედის ჰოთ-დოგი, შემწვარი კარტოფილის ულუფა და სასმელი, ხოლო თავად ძაღლებისთვის საკვები სრულიად უფასოა.

აღსანიშნავია, რომ რესტორანში სტუმრობა მხოლოდ საყვარელ ცხოველთან ერთად უნდა დაიგეგმოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მაგიდას ვერ დაჯავშნით.

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ რესტორან მიკროჩიპში ყოველი სესიის დროს ცხოველების უფასო ჩიპირება მოხდება.

## რუპერტ მერდოკი და მისი საცოლე „ჟურნალისტების ეკლესიაში“ იქორწინებენ



ამერიკელი მედიამაგნატის რუპერტ მერდოკისა და 1970-იანი წლების სუპერმოდელის ჯერი ჰოლის ჯვრისწერის ცერემონია ლონდონის ეკლესიაში გაიმართება, რომელიც „ჟურნალისტების ეკლესიის“ სახელითაა ცნობილი.

ქორწილი შაბათს, 5 მარტსაა დანიშნული. მოსალოდნელია, რომ სტუმრებს შორის იქნება ნიუს ინტერნეიშენალის ხელმძღვანელი რებეკა ბრუკსი, რომელიც თავის თანამდებობაზე მისთვის ტელეფონების მოსმენისა და ქრთამის მიცემის სკანდალური ბრალდების მოხსნის შემდეგ დაბრუნდა. გარდა ამისა, სავარაუდოდ, ცერემონიას დაესწრებიან მერდოკის ექვსი შვილი მისი ადრინდელი ქორწინებებიდან და ასევე ჰოლის ოთხი შვილი, რომლებიც მიკ ჯაგერთან ქორწინებიდან შეეძინა.

ე.წ. „ჟურნალისტების ეკლესია“ ლონდონის ცენტრში სიტის რაიონში მდებარეობს. მისი პროექტი არქიტექტორმა კრისტოფერ რენმა 1672 წელს შექმნა. თავისი ადგილმდებარეობის წყალობით, ფლიტ-სტრიტზე, სადაც ადრე უამრავი ჟურნალისა და გაზეთის რედაქციები იყო განთავსებული, მასში მას მედიის მრავალი წარმომადგენელი დადიოდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**





## 19 თებერვლიდან

**გაზეთ „ახალ თაობასთან“ ერთად**

### მერაბ ნინიძის ავტობიოგრაფიული წიგნი

## მთავარია, მსახიობი არ გამოხვიდე

ეს წიგნი იმ ემიგრანტის ჩანაწერებია, 20 წლის წინ რომ დატოვა საქართველო და ევროპაში იპოვა თავისი ადგილიც და როლიც.

იმ სუპერპოპულარული მსახიობის ამბავი, რომლის სახელსაც თბილისურ კორპუსებზეც აწერდნენ მისი თაყვანისმცემლები.

ყველაზე მთავარი აქ მაინც მერაბ ნინიძის შესაშური გულწრფელობაა, რაც ამ წიგნში შესულ ყველა ამბავს და ეპიზოდს სანდო, საინტერესო და განუმეორებელ საკითხავად აქცევს.

**ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი**






## 16 თებერვლიდან

**გაზეთ „ახალ თაობასთან“ ერთად**

## ლუის სუარესი

### ზღვარს მიღმა. ჩემი ამბავი

ბარსელონის სუპერფორვარდი ლუის სუარესი თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი ფეხბურთელია.

წიგნში „ზღვარს მიღმა“ ლუის სუარესი გულწრფელად საუბრობს თავისი დამაინტრიგებელი კარიერის, ყოვლად გამოუსადეგარი ქუჩის ბიჭობიდან დიდ სცენაზე მოთამაშე ფეხბურთელად ჩამოყალიბებისა და იმ შეგრძნების შესახებ, რაც თითქოს აიძულებს, რომ ზღვარს გადააბიჯოს.

**ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი**


## მესის პენალტის დროს პასი ნეიმარზე უნდა გაეკეთებინა



14 თებერვალს ბარსელონამ საკუთარ მოედანზე სელტა მიიღო და გაანადგურა ანგარიშით 6:1.

კატალონიური გუნდი მთელი მატჩის განმავლობაში ფლობდა უპირატესობას და შედეგიც სამართლიანია.

შეხვედრის 81-ე წუთზე მეტად საინტერესო რამ მოხდა. მესიმ თერთმეტმეტრიანის ნიშნულიდან დარტყმის მაგივრად ლუის სუარესს გაუკეთა გადაცემა, რომელმაც ეს ორსვლიანი

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## იუმორი



●●●

ბაბუა შვილიშვილს კლუბში გაჰყვება და უყურებს, როგორ ცეკვავენ ახალგაზრდები. მერე შვილიშვილს მიუბრუნდა და ეკითხება:

— აი, რაია, ბაბუ?

— ეს ცეკვაა, ბაბუ.

— ამნაირ ცეკვაში ბაბუა, ექვსი შვილი მყავს გაკეთებული...

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

— ჩემი ცოლი ვიღაცასთან მღალატობს.

— მე ვიღაცა ვარ?!

●●●

ბავშვი დედას ეკითხება:

— დე, ჩემხელა რომ იყავი, კომპიუტერი გქონდა?

— არა, შვილო.

— დვდ-ი?

— არა.

— არც მობილური?

— არა, არა!

— დე, დინოზავრები ნანახი გყავს?

●●●

მამა შვილს ეკითხება:

— გუშინ რატომ დაგტოვა მასწავლებელმა?

— არ ვიცოდი, სად არის ჰიმალაი.

— ადრეც ხომ გითხარი, რომ დაიმახსოვრე, სად რას დადებ!

●●●

სუფრაზე თამადა სადღეგრძელოს ამბობს:

— დავითი, თამარი, გიორგი ბრწყინვალე, პატარა კახი...

ამ დროს ვიღაც ცხვირს დააცემინებს, გვერდით მჯდომი ბეჭებზე ხელ მოუტყაპუნებს და ეტყვის:

— მათ მოსვლამდე არაფერი გეტკინოს...

თამადამ გაიგონა და გამოეპასუხა:

— ისინი მოვიდოდნენ და ერთი ამის დედაც...

●●●

შვილიშვილი ბებიას ეუბნება:

— ბებია, მჭადი დამიმატე, ლობიო დამრჩა!

მცირე ხანში ისევ ეუბნება:

— ბებია, ცოტა ლობიო დამიმატე, მჭადი დამრჩა!

ასე გაგრძელდა მონაცვლეობით. ბოლოს ბებია ეუბნება:

— შვილო, რომელიმე თუ არ მოიტიე, გაგისკდება კუჭი!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ფრანგი მწერალი რომან, „მადამ ბოვარის“ ავტორი; 2. მგალობელი ჩიტი; 3. მოვარდნილი წყალი; 4. მთიანეთი შუა-აზიაში; 5. სუპერმარკეტების ქსელის მფლობელი ფირმა საქართველოში; 8. უმცროს მეთაურთა სამხედრო წოდება საზღვაო ფლოტში; 9. მდინარე აშშ-ში; 12. შვეიცარიის ძველი სახელწოდება; 13. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი; 16. ვირტუოზი ესპანელი მევიოლინე მამაკაცი; 17. უნგრელთა მეორე სახელწოდება; 19. ფულის გამოშვება; 20. ერბოში ჩახარშული ყველისგან მომზადებული აჭარული კერძი.

**თარაზულად:** 6. უანგარო ზრუნვა სხვისი კეთილდღეობისთვის; 7. ტბა საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე; 8. აზერბაიჯანული ხალხური მუსიკის ერთ-ერთი ჟანრი; 10. სამხედრო გემთმშენებლობის ცენტრი საფრანგეთში; 11. მცირეალკოჰოლიანი გამაგრილებელი სასმელი; 14. ქართული ლუდი; 15. ფიჭური კავშირგაბმულობის ფრანგული კომპანია; 18. ღარიბთა უბნების სახელწოდება ბრაზილიის ქალაქებში; 21. ბაზარში დაწესებული ფასი; 22. ყველაზე წყალუხვი მდინარე აფრიკაში; 23. თურქი ჯარისკაცი; 24. ხელოვნების მუზეუმი ბერლინში.

**შეადგინა თ.კოპალეიშვილომა**




ლურჯი წითელი ყვითელი შავი